საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ირინა ძირკვაძე

ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა თავდგირიძე - ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2020

განაცხადი

როგორც წამოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენლ მასალებს, რომლებშიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესები შესაბამისად.

თარიღი - 22.08.2020

სახელი-გვარი - ირინა ძირკვაძე

სარჩევი

1.ანოტაცია…….....……..…….გვ.3

2.შესავალი…….....…….....….....გვ.5

3.თავი I. რეზო ინანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალდაკვალ ...გვ.11

4.თავი II ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში.....…….....…..გვ.39

5.თავი III მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში.....გვ. 62

6.დასკვნა…….....……..… გვ.74

7.გამოყენებული ლიტერატურა გვ.75

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში „ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში“ შესწავლილია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე მწერლის რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ჰუმანისტური ტენდენციები. შევეცადეთ, სამაგისტრო ნაშრომით, მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა მწერლის შეხედულებების, მსოფლმხედველობის კიდევ ერთხელ წარმოჩენაში და მათი არსის საფუძვლიან შესწავლაში.

რევაზ ინანიშვილის უმთავრესი საზრუნავი იყო რეპრესიებით, გულგრილობით, სიძულვილითა და საბჭოთა იმპერიის მანკიერიებებით დასნეულებული საზოგადოების განკურნება სიყვარულის, სიკეთის და რწმენას ნაზიარები მხატვრული სიტყვის საშუალებით. მწერალმა საღვთო მიზანი დაისახა და ანტიღირებულებების გვერდით ღირსეული ადგილი მიუჩინა კაცთმოყვარეობასა და მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებს.

ანოტაცია ინგლისურად

Annotation The master's thesis "Humanism in the creative work of Revaz Inanishvili"sdudies the humanistic tendencies characteristic of the work of the writer Revaz Inanishvili, who worked in the second half of the twentieth century.With this masterthesis we tried make a modest contribution to representing the writer's viewvs, worldvievs, and trough study of their essence.

Revaz inanishvili's main corner was heal he society suffering from repression, indifference, hatered and viciousness of the Soviet empire trough the artistic word of sharing, love, kindness and purity. The writer set a divine goal and gave a worthy place to love of manking and morals in the midst of anti-values.

შესავალი

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიაში რევაზ ინანიშვილის შემოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მისი მხატვრული მემკვიდრეობა ჰუმანიზმის სადიდებელია და გვმოძღვას, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ადამიანებს ერთმანეთი და როგორ ვზრუნავდეთ ერთმანეთზე უანგაროდ. მწერალი მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით ნათლად და შეულამაზებლად ასახავს არსებულ სინამდვილესა და უპისიპირდება სიყალბეს. შემოქმედი თავისი მოთხრობებით გვასწავლის ჭეშმარიტებისა და მოჩვენებითის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა განაგრძობს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის კორიფეების ტრადიციებს ისე, რომ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნება გამოირჩევა ინდივიდუალობით და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველასაგან.

ყველასათვის საყვარელი მწერალი რევაზ ინანიშვილი, თავისი მზიანი თვალებით, უდიდესი ყურადღებითა და გულისხმიერებით აკვირდებოდა სამყაროს და მარგალიტებად კრეფდა ისეთ ფასეულობებს, რომელიც მოკვდავს დახმარების ხელს უწოდებდა, რათა წუთისოფლის ამაოებისთან ჭიდილში მარტოდ დარჩენილი არ დაეცემულიყო და ბოროტებისა და სიკეთის მარადიულ ჭიდილშიდან გამარჯვებული გამოსულიყო. მას, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, ყოველთვის ღრმად სწამდა, რომ ყველაზე ცოდვილ ადამიანსაც კი ღმერთი არ გასწირავდა და მიუხედავად მისი განვლილი გზისა, არ მიატოვებდა. სწორედ ამ ჭეშმარიტებას ქადაგებდა რევაზ ინანიშვილი თავის შემოქმედებაში და ადამიანებს ღვთის სიყვარულს უნერგავდა.

რეზო ინანიშვილი წერდა ყოფით თემებზე, სამყაროზე, ადამიანზე, მის გრძნობებსა და განცდებზე, ისეთებზე, როგორიცაა: სიყვარული, შიში, მარტოობა. მწერალს ადამიანური არსებობის ყველანაირ ფერში აღქმა შეეძლო...

მწერალი განუზომლად დიდ როლს ანიჭებდა თავად პიროვნებასა და პიროვნულ იდეალებს. როგორც მკვლევარი ქეთევან შოთაძე აღნიშნავს: „სუბიექტური განცდების წინა პლანზე წამოწევა, მითოსისკენ მიბრუნება, მისი ინტერპრეტაცია, სულიერ ღირებულებათა კრიტერიუმების გადაფასება, ტრანსცენდენტალური და საკრალური განწყობილებები ფილოსოფიურ სიღრმეს ანიჭებს მის ნაწარმოებს“ (შოთაძე, 2009:5).

ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა რევაზ ინანიშვილმა თავისი მხატვრული შემოქმედებით. მან ქართულ მწერლობას უანდერძა არაერთი უკვდავი ნაწარმოები. სამაგისტრო ნაშრმო მიზანად ისახსავს, შეისწავლოს და საფუძვლიანად წარმოაჩინოს ჰუმანისტური ტენდენციები რევაზ ინანიშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაშო. ამ საკითხს თანამედოვე გლობალიზაციისა და ეროვნული ღირებულებების მეორე პლანზე გადაწევის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე ადამიანებმა გლობალიზაციით გამოწვეულ სიკეთეებს ტექნოლოგიური საშუალებებისათვის თანმდევი, დამახასიათებელი გულგრილობა, უღმერთობა და უსიყვარულობაც დაურთეს.

სწორედ, ამიტომაც აღარ გვიკვირს, რომ თამედროვე საქართველომ მიიღო რწმენისა და სიყვარულისაგან დაცლილი თაობები. ახალგაზრდებს და არა მარტო მათ, თავსდატეხილი უდიდესი განსაცელისაგან დახსნაში სწორედ უფლის სიყვარულსა და კაცთმოყვარეობაზე აღმოცენებული მხატვრული სიტყვა დაეხმარება, მხატვრული სიტყვა რევაზ ინანიშვილისა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, რევაზ ინანიშვილის შემოქმედების კიდევ ერთხელ წარმოჩენა, პოპულარიზაცია და მის ღირებულებებზე უფლისა და მოყვასის მოყვარე თაობების აღზრდა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომის „ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში“ საკვლევი პრობლემატიკა არის ჰუმანიზმი, ჰუმანისტური რირებულებები, ფასეულობები რევაზ ინანიშვილის მოთხრობებსა და წერილებში.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედება არაერთი კუთხითაა საინტერესო, მაგრამ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მიზანად ისახავს მისი შედევრები ჰუმანურისტური თვალთახედვით შევაჯამოთ, გავაანალიზოთ და წარმოვაჩინოთ.

მწერალი თავის შემოქმედებაში სრულფასოვნად განიხილავს ადამიანს მთელი თავისი მაღალი გაგებით. იგი მათი ფიქრებისა და სატკივარის უბადლო მხატვარია, სულის მესაიდუმლეა, რომელმაც თავისებურად შეხედა რეალობას და ჩვენამდე მოიტანა იგი.

რეზო ინანიშვილი წერდა: „- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინ შეგიპყრობს ფიქრი, - სადღაც ვიღაცას სცივა, სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ“. საკმარისია წავიკითხოთ მწერლის ეს არაჩვეულებრივი სიტყვები, ვხვდებით რაოდენ დიდ პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

ვფიქრობთ, ისეთ გენიალურ მწერალს, როგორიც რევაზ ინანიშვილია, აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ იმაზე ბევრად, ვიდრე ვიცით. ამიტომაც, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მწერლისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმისტური ტენდენციების კიდევ ერთხელ გაანალიზება და ახალგზარდებისათვის სათანადოდ შესწავლა.

სამაგისტრო ნაშრომი „ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში“ შედგება 72 ნაბეჭდი გვერდისგან, შესავლისგან, 3 თავისაგან, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

სამაგისტრო ნაშრომის პირველ თავში წარმოჩენილია რევაზ ინანიშვილის პიროვნება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალდაკვალ. ამ გასაოცარ ადამიანს ძალიან რთულ დროს მოუხდა არსებობა და მოღვაწეობა. ძალიან პატარამ საკუთარ თავზე გადაიტანა სასტიკი რეჟიმის რეპრესიების ქარტეხილი. დასასჯელთა სიაში აღმოჩნდა მომავალი მწერლის მამა და სულ რაღაც თორმეტი წლის ბიჭი დაობლდა...

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, კაცთმოყვარეობის უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული რეზო ინანიშვილი სასტიკმა ყოფამ ვერ გააბოროტა, მეტიც, ბოროტების ნატამალიც კი არ იყო მასში, პირიქით - უდიდესი ჰუმანიზმით დააჯილდოვა იგი განგებამ. არაერთი თაობა აღიზარდა, იზრდება და კვლავაც გაიზრდება რეზო ინანიშვილის შემოქმედებაზე.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ჰუმანისტურ ტენდენციებს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. მისი მოთხრობების მთავარი მისია სიკეთის თესვაა. ნაშრომის ამ მონაკვეთში აღწერილია, თუ როგორ ასახავს ყოფიერების უმნიშვნელოვანეს საკითხებს უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო პროზაიკოსი. მწერალი ცდილობდა, ქვეყნად გაბნეული ყოველი კეთილი სილამაზე შეეკრიბა და ისე მოეტანა ჩვენამდის. რევაზ ინანიშვილს აქვს ყოვლისმხედველი თვალი და მშობლიური ენის დაუშრეტელი სალარო.

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში განხილულია რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ასახული ქრისტიანული მოძღვრება და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებანი. ჰუმანისტი მწერლის პერსონაჟების მთავარი საზრისია მაღალზნეობრივი ღირებულებები და მათი დაცვა. მის მოთხრობებში ზნეობა ღირსება, ადამიანის არსებობის უმთავრესი საფუძველია.

რწმენა და სიყვარული რევაზ ინანიშვილის მოთხრობების მასაზრდოებელი ძალაა. წითელმა საბჭოთა ხელისუფლებამ მართვის სადავეების ხელში ჩაგდებისთანავე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ღვთის რწმენასა და სიყვარულს.

ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე რელიგიას პირველ ეტაპზე შეუნიღბავად დაუპირისპირდა, მოგვიანებით კი - აკრძალა. გადაწყვეტილების ამოცანა არცთუ რთული გამოსაცნობი იყო. მეტად მარტივია უღმერთოდ დარჩენილი ბრბოს მართვა. მიუხედავად აკრძალვებისა, რევაზ ინანიშვილზე ამან დიდი ზეგავლენა ვერ მოახდინა და მის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა ქრისტიანობამ. მისი პერსონაჟების მთავარი ხსნა კი რწმენა და სიყვარულია.

თავი I. რეზო ინანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალდაკვალ

„მე მაინც დავწერ, არ ვიცი ვისთვის დიდებისა თუ პატარებისთვის. მაგრამ მაინც დავწერ განაპირა ხრიოკებში ტანჯვით მცხოვრებ ხეებზე. ადამიანთა მიერ ჩაგრულ და მუდმივი ტანჯვისთვის განწირულ ხეებზე. ზედ შემომსხდარ ჩიტებზე. ნაადრევად დაცვენილ დიდ ჭიანჭველებზე“ - ეს სიტყვები მწერალ რეზო ინანიშვილს ეკუთვნის, მწერალს, რომლის უპირველესი საზრუნავი უბრალო ხალხის სატკივარი არის. მას სხვაგვარად წერა არც შეეძლო, რადგან ქართულ ლიტერატუტულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია საქართველოში მწერლის ინსტიტუტის ქვეყნის წინამძღოლად ჩამოყალიბებისა, რაც საუკუნეების განმავლობაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა. ქართველებმა სიტყვაკაზმულ მწერლობას სამშობლოს მესაჭეობის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მისია დააკისრა. ეს რომელიმე კონკრეტული ვითარებით ან რომელიმე საუკუნი ბედუკუღმართობით არ იყო გამოწვეული. ისტორიულმა ავბედითმა რეალობამ მწერლობის ჩამოყალიბების სათავეებიდანვე განსაზღვრა მწერლისა და მწერლობის ეროვნული მისია. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან ჩანს შემოქმედის განსაკუთრებული ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში. ღვთისმშობლის წილხვედრ ამ პატარა ერს მუდმივად აწუხებდა მტერი და მის უღელქვეშ უხდებოდა გაუსაძლისად ცხოვრება. ქართველი ერის დამცავი ფარი კი მუდამ იყო თავისი რწმენა მხატვრული სიტყვით გაჯერებული. ქართულ მწერლობას არაერთი მეფე პოეტი, მწერალი პოლიტიკოსი და მწერალი საზოგადო მოღვაწე ჰყოლია. ამ ტრადიციას საფუძველს საერო მწერლობის განვითარებამდე სასულიერო მწერლობა უყრიდა საფუძველს. ასე ვითარდება ისტორია იაკობ ხუცესიდან დღემდე.

სამწუხაროდ ისტორიული ტრადიცია რადიკალურად შეცვა საბჭოთა დიქტატორულმა ხელისუფლებამ. წითელმა მამებმა თავადვე „იტვირთეს“ წინამძღოლის მისია და მხატვრულ სიტყვას ჭეშმარიტი სახე დაუკარგეს. საბჭოთა იდეოლოგია და ისევ იდეოლოგია იყო უმთავრესის სიტყვა, არას დაგიდევდნენ რა ბედი ეწეოდა მხატვრულ სიტყვასა და აზროვნებას. მკვლევარ აკაკი ბაქრაძის შეფასებით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველოში მწერლობა პოლიტიკურ რეჟიმს დაქვემდებარებოდა და ისტორიის კუთვნილებად ექციათ ზოგადქართული პრობლემატიკა. ბუნებრივია მოძალადე რეჟიმის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ ჭეშმარიტი მწერლები და ცდილობდნენ ქართული მხატვრული სიტყვის გადარჩენას.

ქართველ მწერლებს მეტად რთულ ვითარებაში მოუწიათ მოღვაწეობა. განუკითხაობის ხანა დადგა - უნიჭო მწერალი უფრო ფასობდა, ხოლო ნიჭიერი მხატვრული აზროვნებისა და სამშობლოს სიყარულისათვის ისჯებოდა. პირველ კატეგორიას ქვევრის ფუნქცია ეკისრებოდა, რომელსაც ზემოდან, ცეკას დადგენილებებით მიღებული ბრძანებების ე.წ. მხატვრული ნაწარმოებით ამოძახება-გამეორება შეეძლო. საკუთარი აზრის არსებობაზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ადვილია დასკვნის გამოტანა - სამშობლოს ერთგული, ჭეშმარიტის მწერლისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ტოლფასი იყო ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების შექმნა. შედევრები სიცოცხლის ფასად იწერებოდა.

„თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიაში რევაზ ინანიშვილის შეომოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მწერალი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოვიდა ასპარეზზე და იმთავითვე აგრძნობინა ერს, რომ გამორჩეული ნიჭის შემოქმედი იყო. მიუხედავად ეპოქისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებისა, რევაზ ინანიშვილი მამულის მოჭირნახულად დარჩა სიცოცხლი ბოლომდე. მან ღირსეულად მოიხადა ღვთიური ვალი, სულის სიღრმეში

ხელშეუხებლად შეინახა განგების მიერ ნაბოძები საუნჯე და იტვირთა კაიკაცობის მძიმე ჯვარი“ (შოთაძე, 200:93)

„დაბეჯითებით შემიძლია ჩემი რწმენა გამოვთქვა. თუ ვცდები მხოლოდ უფლის წინაშე ვიხდი ბოდიშს. ქართულ მწერლობაში მე იგი როგორც შემოქმედი და როგორც-ადამიანი წმიდანად მეგულება“ - აღნიშნავს მკვლევარი მაკა ჯოხაძე.

მწერალი რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წელის 20 დეკემბერს, მოსამსახურის ოჯახში. აქ დაამთავრა ხუთი კლასი. 1937 წელს ოჯახი საცხოვრებელ ადგილს იცვლის და მკვიდრდება დედაქალაქში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1943-45 წლებში დასაქმებული იყო ოცდამეთერთმეტე ქარხანაში. 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სამწუხაროდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოს სწავლის დასრულება ვერ შეძლო და 1949 წელს შეწყვიტა. მუშაობა დაიწყო ისევ, ამჯერად სამგორის არხის მშენებლობას მიმართა.

ბუნებრივია, რევაზ ინანიშვილი არ ურიგდებოდა მწარე რეალობას, ყველაფერს აკეთებდა უმაღლესი განათლების მისაღებად და 1951 წელს ისევ უნივერსიტეტის სტუდენტია. 1956 წელს მწერალმა სწავლა დაასრულა და ფილოლოგის კვალიფიკაცია მიენიჭა.

1952 წელს რევაზ ინანიშვილმა ოჯახი შექმნა.

1960 წელს მწერალი გამომცემლობა „ნაკადულის“ თანამშრომელია.

1966 წელს-კინოსტუდია „ქართული ფილმში“ იწყებს მუშაობას.

1985 წლიდან 1988 წლებში შემოქმედი საქართველოს მწერალთა კავშირში მდივანის მოვალეობებს ასრულებს.

1989 წელს რევაზ ინანიშვილი ჟურნალ ~ „დილას“ რედაქტორად ინიშნება და ბოლომდე აქ რჩება.

მწერალმა რევაზ ინანიშვილმა თავისი პირველი მოთხრობა „სახსოვარი“ 1950 წელს, ალმანახ „პირველ სხივში“ დაბეჭდა, ხოლო მოთხრობების პირველი კრებული „პირველი მოთხრობები“ 1953 წელს გამოაქვეყნა. მისი მოთხრობები თარგმნილია მრავალ ენაზე.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ძირითადი კრებულებია:

„მეგობრისადმი მიწერილი წერილებიდან“;

„წვეთები ფოთლებზე“;

„ცისფერი გორგალი“;

„საღამო ხანის ჩანაწერები“;

„ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“;

„ჩიტების გამომზამთრებელი“.

მწერალს ეკუთვნის ასევე საბავშვო კრებულებიც:

„ბედნიერი მთა“;

„ბიბო“;

„სად ცხოვრობს მეზრაპრე“;

„მგლის ლეკვები“;

„შორი თეთრი მწვერვალი“.

წიგნისათვის „შორი თეთრი მწვერვალი“ რევაზ ინანიშვილს 1977 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

რეზო ინანიშვილი როგორი კეთილშობილიც იყო, სწორედ ისეთივე ჰქონდა ოცნებათა სამყარო: „სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილისა. სხვა რომ

არაფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს. მაგრამ იგივე აღქმა წყაროა სიმტკიცისაც. ესაა სწორედ ის, რაიც მშველის, რომ არ გავბოროტდე. მამადავითის თავზე ხეების კენწეროზე წამოდებული ნისლს შეუძლია ბევრი რამ მაპატიებინოს სხვებისთვის“(ინანიშვილი,2010:4).

ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ ჰუმანური გახლდათ რევაზ ინანიშვილი. მწერალს, რომელსაც სული სტკიოდა არსებული რეალობის გამო და მათ დაამებას მცირედ სიკეთეთა ქმნით ცდილობდა. გული კი იმიტომ სტკიოდა, რომ გრძნობდა ნელ-ნელა როგორ იცლებოდა ქვეყანა სიყვარულისგან.

ქართველმა ერმა თუ რამით შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, უპირველესად-ქართული ლიტერატურით. ძალიან ბევრი ისეთი მწერალი გვყავს, რომლებსაც მსოფლიო ასპარეზზეც კი ვერავინ დაუდებს ტოლს. მათ შორის გამორჩეულია რევაზ ინანიშვილი.

დიახ, რეზო ინანიშვილიც საბჭოთა ეპოქის შვილია, სადაც რთული იყო, გაგებედა საბჭოთა კავშირს მიღმა დარჩენილი სახელმწიფოს ნახვის სურვილის გამოაშკარავება. სწორედ სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა შემოქმედის მამა 1937 წელს, როცა მომავალი მწერალი მხოლოდ 11 წლის იყო. ამ ტრაგედიამ ღრმა კვალი დაამჩნია მის ცხოვრებას. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებაში ხშირია ანტისაბჭოური ხასიათის ტექსტები, მიუხედავად იმისა რომ ეს ღრმად ჰუმანური ადამიანი, ნამდვილად არ ყოფილა პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი რკინის ფიგურა. იგი ცდილობდა, თავისი მოთხრობებით ცოტაოდენი შვება მაინც მოეტანა ადამიანებისთვის. უნდოდა სადღაც სულის სიღრმეში მიმალული სიკეთის ნაპერწკალი კვლავაც აეგიზგიზებინა ადამიანთა სულში, რამეთუ მწერალი უპირატესობას სიყვარულსა მშვიდობას ანიჭებდა.

მწერალი მუდამ ნატრობდა სამყარო და ადამიანები იმაზე უკეთესები გამხდარიყვნენ, ვიდრე იყვნენ. ამას კარგად მოწმობს მისი მოთხრობები.

კაცთმოყვარეობით, რწმენით და ჰუმანიზმით აღსავსე შემოქმედის სამწერლო ასპარეზზე წარმოჩენა უშედეგოდ არ დარჩენილა. სწორედ მისი ძალისხმევით, მძიმე და საშინელ გარემოში უცვლელ ადგილს იკავებს მისი ადამიანობა და მხატვრული შემოქმედება.

რეზო ინანიშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მდიდარი მწერლური გამოცდილების ქვეყანაში და ეს ნამდვილად ღირსეულად შეძლო. „სიყვარულის ყველგანშემღწევი შუქი ისე უნათებს მწერალს, რომ უხილავიც კი ხილული ხდება მისთვის და მკითხველიც მასთან ერთად ამჩნევს, ხედავს და გრძნობს სამყაროს ტკივილაც და სიხარულსაც. რევაზ ინანიშვილი ამჩნევს სასწაულს იმ ჩვეულებრივ სიტუაციებში, რომელსაც მკითხველი არაერთგზის გადაჰყრია, მაგრამ სასწაულად კი ვერ აღუქვამს. მწერლის ქმნილებებში ადამიანური სიყვარული ზარივით წკრიალებს და არასდროს ქრება მისი საამური ხმა“ (შოთაძე, 2009:109).

მაინც რამხელა სიყვარულით წერდა მწერალი სოფელზე, სადაც იგი დაიბადა. სხვებისთვის ერთი ჩვეულებრივი სოფელი თითქოსდა ულამაზო სახელით რეზოსთვის განსაკუთრებული და სათაყვანო იყო. შემოქმედი თავისი საყვარელი სოფლის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, რადგან ისე ვერ მოუარა როგორც ეკადრებოდა, დრო ისე გადიოდა სოფლად ჩასვლასაც კი ვერ ახერხებდა. სიზმრები არ ასვენებდა თურმე საბრალოს: „ვითომ დარდს ვიშორებ გულიდან, მაგრამ მე და ხაშმმა ხომ ვიცით, საქმე როგორც არის! თავის მაღლა აწევა მიჭირს მის წინაშე“ (ინანიშვილი,2012:5).

„ზოგჯერ ვფიქრობ, ის შუქიანი, მართლაც რომ დიდი ადამიანური სიკეთე, რომლითაც განათებულია რევაზ ინანიშვილის შემოქმედება, ვაჟამ პურივით მოუტეხა და უწილადა-მეთქი...“(ჭილაძე)

„საღამო ხანის ჩანაწერებიც“ მწერლის ერთ-ერთი საგანძურია, გამორჩეულია თავისი ბუნებრიობით. ამ მოთხრობებით ავტორი სიღრმისეულად

ცდილობს დაგვაკავშიროს მკითხველი პერსონაჟებთან: „მე ვწერ იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვიცნობ. ყველაზე კარგად კი ჩემს თავს ვიცნობ“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებს პერსონაჟი ამბობს, ვფიქრობ თავად მწერლის განცდებია გადმოცემული. მისი მოთხრობების კითხვისას გრძნობ, რამდენად გიტაცებს ისინი, შედიხარ მწერლის სამყაროში და არ გინდა მისგან გამოსვლა. სურვილი გკლავს, მეტი და მეტი პერსონაჟი გაიცნო, მრავალში საკუთარი თავი ამოიცნო და ეცადო, მთელი გულით ეცადო ამ ღირსეული ადამიანის მოზიარე გახდე, მეტად შეიყვარო ვიდრე გიყვარს და შეიგრძნო ის, თუ რაოდენ ძვირფასია წუთისოფელი.

რევაზ ინანიშვილის წერის სტილი არ არის მაღალფარდოვანი სიტყვებით წერა, არამედ პირიქით მისი მეტყველება გამოირჩევა სისადავითა მოხდენილობით, თუმცა ეს მის მხატვრულობას არ აკნინებს. პირიქით, სიამაყით შეგახედინებს ეროვნული სიტყვიერების სალაროში, მის ინდივიდუალობით გამორჩეულ სამყაროში.

მწერლის კალამი ნამდვილად ახდენს სასწაულებს. მისი ვრცელი თუ მოკლე მოთხრობები ისეთი სისპეტაკითაა შექმნილი, რთულია კითხვისას აღფრთოვანება არ დაგეუფლოს. რევაზ ინანიშვილის პერსონაჟები ყველაზე მეტად სიკეთესა და სიყვარულს არიან მოწყურებულნი. თითქოსდა „ქვეყნად სიყვარული კლებულობს“, რაც ყველაზე ძლიერ სტკივა მწერალს.

„ახლა აქედან შეხედა ეკლესიას. აქედანაც ინგრეოდა ეკლესია, - ჯვარი უფრო გადაღრეცილი ჩანდა. დაყვირება მოუნდა. სასაფლაოზე მყოფი მოხუცის მოერიდა. იმ მოხუცს ყვირილი კი არა, მშვიდი მოფერება უნდოდა. ბალახებსაც უნდოდათ მოფერება. წახრილიყვნენ ალერსიანი ხელის მოლოდინში. თვითონაც დიდი სიამოვნებით შეუშვერდა თავს ალერსინ ხელს. ასეთი ხელი კი აღარ ეგულებოდა ქვეყნად“ (ინაიშვილი, 2012:302).

მწერალი ნათლად გვიხატავს სიყვარულისგან დაცლილ სურათს... მოფერება, ალერსი და თანადგობა ყველს, ყოველ ასაკში ესაჭიროება. ამ ყველაფრის გარეშე კი თითქოსდა სული ცარიელია და შველას ლამობს. ავტორი სევდასაც ისეთივე სიმძაფრით გადმოგვცემს როგორც ღიმილიან მოთხრობებს. ვფიქრობ, ამიტოცაა, რომ მოუბეზრებელი ხიბლი აქვს მთელ მის შემოქმედებას.

„რაო, ჩემო საწყალო ტუბალო! რაო, ჩემოო დედავ და დაო! რას ოხრავ და ჰგმინავ! შენ რაღა გემართება, მადლიანო! წახვალ, დარდიანი წახვალ, მოხვლ, დარდიანი მოხვალ, დგხარ, დარდიანი დგახარ, რა ამბავი იცი კეთილო! რატომ არას მეტყვი უთქმელო, რატომ არ მანიშნებ რამეთი...“ (ინანიშვილი, 2012:212).

დედაბერი, ყველას მიუტოვებია და სანუგეშოდაც კი, მხოლოდ ერთი ძროხა შერჩენია. მოხუცებულს ხომ ყველაზე უფო სითბო და სიყვარული სჭირდება... მაინც როგორი ხარ ადამიანო, სითბოც რომ ვერ გაგიმეტებია საბრალო მოხუცისთვის.

„კეთილი სილამაზე ძალიან ცოტაღა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცვლის პოვნასავით განვიცდით ყოველლ პაწაწინა ნიმუშისს აღმოჩენას“ (ქართველი მწერლები სკოლებში, 2010:245).

„რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყველაზე მეტად მწერლის მახვილი თვალი და ყური გაოცებს პატარა, ხელის გულისოდენა მოთხრობებით. ჩვენც თვალს გვიხელს, სმენას გვიმახვილებს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს ავკარგიან ქვეყანას, სადაც თავვადვეცხოვრობს ეს მის სამშობლოა, რომელიც უკვე მკითხველის სულიერ სამშობლოდ ქცეულა“ (ქართველი მწერლები სკოლებში, 2010:249).

რეზო ინანიშვილის მიერ შექმნილი სულიერი სამშობლო სითბოთი და სიყვარულითაა სავსე, რომელიც ჰაერივით სჭირდება კაცობრიობის დაცლილ სულს. ჩვენ მისი მკითხველი კი იმ იმედით მივდივართ მის კვალდაკვალ, რომ ფეხი შევაბიჯოთ ჰუმანიზმის სამყაროში.

ერნესტ იუნგერის აზრით, მწერლის ამოცანა სწორედ სულიერი სამშობლოს შექმნაა: „ეს შეიძლება იყოს მოკრძალებული ნიში წმინდანის გამოსხულებით, ჭიშკართან გამოდგმული სკამი, სულიერი ჯოხი, სასახლე, ტყეები, მთები ან კოსმიური სივრცე... პოეტი ქმნის, რათა ყველაფერი ეს იცოდნენ და დაიმახსოვრონ, შემდეგ კი სულიერ სამშობლოდ გაიხადონ... იქ, სადაც პოეტები არ არიან, სიცარიელე ისადგურებს (ქართველი მწერლები სკოლებში, 2010:249).

რევაზ ინანიშვილის სამყარო ენით აღუწერელია, თითქოსდა გწყვეტს დუნე ყოველდღიურობასა და მოსაწყენ რეალობას. მკითხველი უხილავი ძაფებით უკავშირდება მწერალს და შემოქმედსაც მეტი რა უნდოდა, მხოლოდ ის რად უღირდა თუ ფეხს შეგადგმევინებდა შენ მითხველო ჰუმანიზმით სავსე ჯადოსნურ სამყაროში.

სერგი ჭილაია ერთ-ერთი პირველია, ვინც ყურადღება მიაქცია რევაზ ინანიშვილის შმოქმედებაში ლირიკულიი აზროვნების ელემენტებს ე.წ. პოეზიი ელემენტებს პროზაში. მკვლევარი აღნიშნავს მწერლის თავისებურ დამოკიდებულებას საგნებსა და მოვლენებთან, გამოყოფს მისი ნახატების უშუალობასა და მიმზიდველობას. ყოველივე ამას კი განაპირობებდა ადამიანთა მიმართ დიდი სიყვარული... (შოთაძე,2009:9)

„გურამ ბათიაშვილი წერილში „სიახლეთა ძიების გზაზე“ რ. ინანიშვილს წიგნი „წვეთები ფოთლბზე“ განხილულია, როგორც პოეტური ნოველის კრებული“ (შოთაძე;2009:9).

რევაზ ინანიშვილის მოთხრობებიდან ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია, განსაკუთრებით წიგნში „წვეთები ფოთლებზე“ იდეალურად აღწერს მწერალი ბებიისადმი დამოკიდებულებას, რომელსაც მზეს უწოდებს: „ბებია ჩემი მზე“. „ის იყო საერთო ბებია, თალხებით შემოსილი (მის კაბებს ყოველთვის ასდიოდა ბუხრის კვამლის და დამწვარი რძის სუნი), ძველი ქართული ზრდილი, ტკბილი,

თბილი, იმედიანი. საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი. საცა მე, ბებოც იქა იყო. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვიყავი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვიჯექი“ (ინანიშვილი, 2012:9).

მწერლის ცხოვრებაში ბებიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის იყო ადამიანი, რომელმაც გაზარდა რეზო და კაბის კალთიდან არ მოუშორებია. წერა-კითხვაც კი თავადვე უსწავლებია პატარა ასაკში. როგორც მწერალი იგონებს; „წლისა რომ გავმხდარვარ, - წინათ ჩვენში ასეთი რწმენა ჰქონდათ, - დაუსვივარ, შემოუყრიათ ირგვლივ სხვადასხვა ხელობის იარაღები: კოჭებიანი საანგარიშო, წალდი, სადგისი, ასტამი, კალამი, ნალი, ხერხი და კიდევ სხვა რაღაცები. რასაც პირველად მოჰკიდებდა ბავშვი ხელს, იმ ხელობის კაცი გამოვიდოდა. ბებია მეტყოდა ხოლმე, შენო კალამს დასწვდი მაშინვეო. არა მჯერა, ერთი წლის ბავშვმა, კოჭებიანი საანგარიშოს გვერდით, კალამს წაატანოს ხელი, მაგრამ ეგრე იყოო, დაუდასტურებია დედასაც, და მეც, მეტი რაღა ძალაა, ვუჯერებ“ (ინანიშვილი;2012:11).

რეზო ინანიშვილის ამ მოთხრობაში აღწერილია ბავშვობის ბედნიერი დღეები და უდარდელი წლები. მაგრამ ამ ლაღ პერიოდს მოსდევს ურთულესი და უმძიმესი ცხოვრება - 1937 წელს, ზაფხულში დააპატიმრეს მამა, დედის მამაც და ძმაც.

რეზო საკმაოდ რთულად და თითქმის არც კი იხსენებს თბილისში ცხოვრების წლებს: „რა დაიწყო თბილისში, რას შევუდექით ახალს, ეს ცალკე თემაა. თუ საშუალება მომეცა, ოდესმე ამაზეც დავწერ, მაგრამ თუ ვერ დავწერე, არც ეს შემაწუხებს ძალიან, რადგან უჩემოდაც ათასობით ადამიანს აქვს ნაამბობი, რა საშინელება იყო 1937 წელი, მერე ომი, მერე ომის დათავრების პირველი წლები“.

მართლაც არ მობრუნებია რეზო ამ მძიმე პერიოდის აღწერას თავის ბიოგრაფიაში, თუმცაღა მამის დაპატიმრებით გამოწვეული ტკივილი, რომელიც მეხის გვარდნასავით დააწვა პატარა ბიჭის სულს, ასახა მოთხრბაში: „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.

მოთხრობის სათაურშივე გვესაუბრება რევაზ ინანიშვილი იმ ტანჯვა-წამებასა და უბედურებაზე, რომელიც პატარა ბიჭმა უნდა გადაიტანოს, რომელიც თითქოს 11 წლის ასაკში უკვე გაიზარდა.

ყველას კარგად მოგვეხსენება როცა იქმნებოდა საბჭოთა კავშირი, დაპყრობილ ქვეყნებს აერთიანდებდნენ ერთი ნიშნის ქვეშ და ყველას განაგებდენ ბოლშევიკები, ხოლო ისინი ვინც არ იზიარებდნენ საბჭოთა იდეოლოგიებს დევნიდნენ (გადასახლება, სიკვდილით დასჯა), ეს ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 1937 წელს, ეს ის პერიოდა სადაც სუფევს სასტიკი ყოფა მაგრამ განსაკუთრებით სასტიკია იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელთაც რაიმე ნიშნით დევნიდნენ.

მოთხრობაში რევაზ ინანიშვილი აღგვიწერს პატარ ბიჭის საშინელ ყოფას... ერთი მხრივ, მას ჰყავდა მამა გულიანი, ალალი და კეთილი კაცი. იგი ყველას ძალიან უყვარდა, რომელიც მუდამ იღიმებოდა და ერთ ადამიანსაც კი ვერ იპოვიდით ვინც ამ კაცზე აუგს იტყოდა რამეს. აი, სწორედ ასეთი დიდებული ადამიანი დააპატიმრეს... ეს ღვთისნიერი კაცი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ემსხვერპლა საბჭოეთის სისხლიან ხელისუფლებას. მოთხრობაში პატარა ბიჭი იხსენებს მამას, რომელიც ყოველთვის ღიმილიანი და ლაღია მაგრამ მხოლოდ იხსენებს... იძულებულია, შეეგუოს მონატრების მწარე ხვედრს... მეორე ეპიზოდი ნაწარმოებისა უკვე არის მცდელობა იმისა, როგორმე ნახოს მამა. მას დაეხმარება ოჯახის ახლო მეგობარი, რომელსაც რისკის ფასად უწევს ოჯახს შეატყობინოს მამის ადგილსამყოფელი. იმ პერიოდში რეპრესირებული ოჯახისათვის დახმარების გაწევა სიცოცხლის ფასად თუ შეიძლებოდა. ამიტომაც ძალიან ფრთხილობდა „ძია ვანო“ არავის დაენახა იგი: „ერთხელ, შეღამებულზე მათ ოჯახში შეიპარა მამის ბავშვობის მეგობარი და გააფრთხილა, ხვალ დილით, გათენებისას, სასამართლოში მოიყვანენ, თუ ყველას დაგინახავთ, დარწმუნდება, რომ ცოცხლები ხართო..“

პატარა ბიჭმა თსაკუთარი თვალით ნახა, როგორ მიჰყავდათ ტუსაღები ჯარისკაცებს: „იმ დასახიჩრებულ ადამიანებში, ფეხებს რომ ძლივს მიითრევდნენ, აღარც კი ეძებდა მამას. მაგრამ ერთმა ყველაზე სახიჩარმა, კოჭლმა პატიმარმა მისკენ ყურება დაიწყო, გაუცინა და ხელიც აუწია ოდნავ ზემოთ. ბიჭი შეკრთა რადგან იცნო...“

ეს სურათი განსაკუთრებულ ემოციასა და დიდ ტკივილს უტოვებს მკითხველს... პატარა ბიჭი სასწრაფოდ გამორბის გარეთ და ხმასაც კი ვერ იღებს, ნახა გატანჯული მამა, რომლის სახეც არასდროს არ ამოვა ცნობიერების თვალთახედვიდან... ამ პატარა ბიჭის მამა გოლგოთაზეა, რომელსაც საკუთარი სახე დაუკარგავს და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილა... ბიჭის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა მამა, აკანკალებულ ხელს რომ უქნევს შვილს და კიდევ ერთხელ ანახებს მკითხველს იმ საშინელ ყოფას, რომელიც საბჭოეთმა მოუტანა საქართველოს.

ბავშვობაში მიღებული უმძიმესი სულიერი ტრავმისა, რევაზ ინანიშვილი არ გაბოროტებულა. მწერალი უსაზღვროდ დიდი, თბილი გულით გამოირჩეოდა და სხვებსაც უდიდეს რწმენასა და სიყვარულს უზიარებდა.

რეზო ინანიშვილის გული, რომ დიდი სიყვარულითაა გამთბარი ამას მისი შემოქმედება მოწმობს. სხვაგვარად განა შესაძლებელია ადამიანის სულის მშვენიერება ასე დაანახო მკითხველს. მწერალი ნამდვილად არის უბრალო ადამიანების თაყვანისმცემელი.

მწერალი რევაზ ინანიშვილი თავის მოთხრობებში ძირითადად გვიხატავს ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებს და სწორედ იმითაა გამორჩეული, რომ თავისი უბრალოებით შეძლო და გვიჩვენა გმირების „სულიერი სიძლიერე“. როგორც კრიტიკოსი გურამ ბათიაშვილი ამბობს: „მწერალი გაურბის თავისი გმირების ზედმეტად „ფსიქოლოგიზებას“ (შოთაძე, 2009:9).

რეზო ინანიშვილის შენმოქმედება თვალს არ გვჭრის გარეგნული ეფექტებით, არამედ პირიქით-გაბრწყინებულია ამაღლებული უბრალოებით. ტიპური სოფლური გარემოსა თუ ქალაქური ცხოვრეის ყოფითი ამბებით. მწერალი ყოველივეს სიკეთით ანათებს და ისე მოაქვს ჩვენამდე.

მისი შემოქმედებითი უკომპრომისობის არაერთ შემთხვევასაც იგონებენ. როგორც რეზო ესაძე იხსენებს: „იმ დროს მინიატურებს ვწერდი, ძალიან სენტიმენტალურს და გულისამაჩუყებელს. მივიტანე ეს ჩემი მინიატურები „პირვწელ სხივში“ და მითხრეს, შენ თვითონ აირჩიე რეცენზენტად ვინ გინდაო. რა თქმა უნდა რეზო მეთქი, ჩემი ძმაკაცია. დარწმუნებული ვარ, ისეთ რეზიუმეს დაწერს, ტაშითა და ზარ-ზეიმით შევგრიალდები „პირვეწოლ სხივში“. მაგრამ მე რეზომ გამაუთოვა!... ერთი წამითაც არ დამზოგა, აღარაფერი დატოვა ჩემგან. დაამთავრა თუ არა, მომაშურა, გეწყინაო?, - მკითხა. შენს თვალებში ყველაფერი ერთიანდებოდა, თან მლანძღავდი, თან იღიმოდი, ისე ძალიან მიყვარდი იმ დროს, წუთით არ მიფიქრია განაწყენება-თქო, ვუპასუხე. მის თვალწინ გავანადგურე მინიატურები მთლიანად“.

თეიმურაზ მაღლაფერიძის მოგონებებში კი ვკითხულობთ, თუ როგორ გაიტანა თავისი ნაშრომი დამწყებ მწერალთა წრეზე, რომელშიც სამი წლის ბიჭუნას სიკვდილის ამბავი იყო აღწერილი. როგორც თავად ამბობს: „მავანნი გამოდიოდნენ და მაქებდნენ, მაგრამ ჩემთვის რეზოს მსჯავრი იყო მთავარი, მან კი ქვა ქვაზე არ დატოვა, მითხრა: „იქნებ რაც მოთხრობაში აღწერილი, მართლაც მოხდა, მაგრამ რაც ხდება, განა ყველაფერი გადმოცემის ღირსია? ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მოუტანს... როგორ შეიძლება მწერალმა სამი წლის ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტო, რა მხატვრული აუცილებლობაა ამისო“.

როდესაც მის ამ სიტყვებს ვკითხულობთ, შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს ინანიშვილის საბავშვო მოთხრობა: „ქარი რომ უბერავდა და თან თოვლის

ფიფქები მოჰონდა“, რომელიც გვიამბობს ობოლ და-ძმაზე. რეზო ავტობიოგრაფიაში წერს, რომ მოთხრობა ნამდვილ ამბავზეა აგებული და პაპა გიორგის მიუძღვნა. სინამდვილეში კი პაპას პატარა და დაეღუპა, რეზომ კი ფინალი ბედნიერად დაასრულა, „ასე მინდოდა დამემთავრებინა, რადგან ბავშვებისთვის არის დაწერილიო“.

რეზოს საოცარი წერის სტილი ჰქონდა შეიძლება სულ პატარა მოთხრობაში პერსონაჟის მთელი ცხოვრება ჩაეტია. რევაზ ინანიშვილი წრფელი გულითა და მზიანი თვალებით, უდიდესი გულისხმიერებით, ყურადღებით სწავლობს სამყაროს და მხოლოდ ისეთ ფასეულობებს მიაპყრობს თავის გონებას, რომელიც ადამიანს ეხმარება ცხოვრების წინააღმდეგობებთან გამკლავებაში.

როგორც თავად ამბობს: „ბედნიერი მწერალი... ცოცხალი ბედნიერი მწერალი უკვე საცოდაობაა. იგი უკვე მოწყვეტილია მთავარს-ჭეშმარიტების ტანჯვით მაძიებელ სულს, იგი უკვე აღარ განიცდის სხვათა მოთქმა-გოდებას, აღარ განიცდის მათ მარტოობას“.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება კი ნამდვილად წარმოადგენს ზემოთქმულის კლასიკურ ნიმუშს. ეს კი მისი თბილი გულისა და ადამიანობისადმი უსაზღვრო სიყვარულის ძალით მოიპოვება. ყველა ჭეშმარიტი მწერალი კი როგორც რეზო ამბობს „უბრალო ადამიანური გულის მატარებელია“.

მწერალი ერთნაირი სიყვარულით წერდა იანვრის სუსხიან დღეებზეც და გაზაფხულის პირველი კვირტის ამოსვლაზეც. შემოქმედის უსაზღვროდ კეთილი გული სავსეა ღვთის სიყვარულითა და რწმენით, ეს ყოველ მის სტრიქონში იკითხება, ნიმუშად კი მცირე ეპიზოდს მოვუხმობთ მისი „სამაგიდო რვეულებიდან“: „ბავშვობაში ჭექა-ქუხილის მეშინოდა. ახლა არაფერი მიყვარს მასავით. რაც უფო მაგრასდ იჭექებს მიმტკიცდება რწმენა, რომ დედამიწას ისევ აქვს შერჩენილი

ძველი ძალა“. ინანიშვილი კი ნამდვილად გახლდათ ადამიანი რომლის გულშიც ეტეოდა მთელი სამყარო.

მწერალი მოღვაწეობდა საბჭოთა პერიოდში. მაგრამ რა თქმა უნდა იგი არასდროს ყოფილა ეგრეთ წოდებული „საბჭოთა მწერალი“. არსებული რეალობა კი მწერალს აიძულებდა მეტი სიფრთხილე გამოეჩინა მის გარშემო გამეფებული წესებისა და კანონების მიმართ. თუმცა იგი არასდროს შეშინებია სათქმელის ხმამაღლა გამოთქმას. ამის შესანიშნავი მაგალითია თავისი მოთხრობა „ჭკვიანი“, სადაც წერს: „მე რომ ჩემს სათქმელს ხმამაღლა გამოვთქვამ ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს შორის, ის სულ დუმს და ღრმად მიმალული ირონია გამოუკრთის თვალებში. დუმილი ოქროა რჩეული და მართლაც, ოქროთი უხდიან მეგობრები და ნაცნობები ამ უნარისთვის, უჭკვიანესად თვლიან“ (ინანიშვილი 2001:18).

ბევრი ცდილობდა დაერღვია მწერლის სულიერი წონასწორობა, თუმცა იგი ყოველ ჯერზე იმარჯვებდა. მისი ზემოთქმულიც ხომ სწორედ, გამარჯვებული კაცის სიტყვებია.

რევაზ ინანიშვილი ცხოვრობდა ეპოქაში, სადაც ფულით ყველაფრის ყიდვა იყო შესაძლებელი, სადაც „მარტივად“ პატიოსნებაზე უარის თქმით შეგეძლო გამდიდრებულიყავი კიდეც.

„შემაძრწუნებელია ჩემი წრის ადამიანების ცხოვრება. რამდენი საათიცაა დღეში, იმდენ საათს ლაპარაკობენ, უარი თქვან თუ არა პატიოსნებაზე. თუ უარს იტყვიან, მაშინ გამდიდრდებიან კიდეც, როგორც მრავალნი სხვანი. საბრალო ჩემო მეგობრებო“... ეს რეზო ინანიშვილია ცა და დედამიწასავით განსხვავებული ასეთი ადამიანებისგან.

მწერალი ცხოვრობდა ეპოქაში, სადაც ნამდვილად ჭირდა არათუ სიტყვის თავისუფლება, არამედ აზრის გამოთქმის უფლებაც კი თუ იგი არსებულ „ჩარჩოებს“ სცდებოდა,

დღევანდელი ლიტერატურის უპირატესობა კი მხოლოდ იმაშია, რომ შეგვიძლია ნამდვილისა და ყალბის შედარება, ხმამაღლა საუბარი. ალბათ იმ დროისთვის ცოტას თუ ეცოდინებოდა რომ რეზოს მოთხრობა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“ მხოლოდ შესაშური ოსტატობით შესრულებული ვირტუოზული ნიმუში კი არ არის, არამედ ავტობიოგრაფიული ნაშრომი, სადაც მწერალმა ქაღალდზე გადმოიტანა გრძნობები, რომელმაც დაადო ცხოვრებისეული დაღი.

მიუხედავად ყველაფრისა ვერაფერმა შეძლო რეზოს გაბოროტება. სულხან-საბს სიტყვებს მოვიშველიებ: „ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა დაუძლეველი საუკუნომდის“... ყოველივეს კი მწერალი თავისი უკიდეგანო სიკეთით აღწევს. ბაქრაძე თავის სტატიაში „სულის პური“ (ბაქრაძე 1977:72), რომელიც რეზო ინანიშვილს ეძღვნება აღნიშნავს, რომ: „ბოროტი კაცები მის პროზაში უსახელონი არიან, რასაც არა შემთხვევით მოვლენად, არამედ მწერლის კონცეპტუალურ პოზიციად მიიჩნევს. ბოროტი კაცი რეზო ინანიშვილის პიროვნება არ არის, ხოლო ბოროტებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია.

რევაზ ინანიშვილს რომ ურთულეს ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, ნამდვილად არ არის საკამათო თემა. ეს ის პერიოდია სადაც გმირობად ითვლება მაღალი რანგის ლიტერატურის შექმნა. ავტორი წინ აღუდგა ყოველგვარ დაბრკოლებას და ჩვენამდე მოიტანა ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობისა და განცდების სიდიადე.

მწერალ რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „წიგნი“ საუბარია იმ ნათელზე, რომელიც წიგნიდან მოეფინება მკითხველს. წიგნი უკავშირდება განათლებასა და იგი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანი, მორწუნე ადამიანისთვის რადგან ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა. თავად სიტყვა განათლება კი სულში სინათლის სხივის შეტანას გულისხმობს, ხოლო ადამიანი, რომელიც არის წიგნიერი იგი მეტად მორწმუნეა.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „წიგნი“ საუბარია პერიოდზე, სადაც უიარაღოდ არავინ დადიოდა. ყველას განურჩევლად წოდებისა იარაღი უჭირავს. (1914 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყება მარცხით დასრულდა). ვეცნობით ორი რევოლუციური მოძრაობის „ბოლშევიკებისა“ და „მენშევიკების“ დაპირისპირებას. მოთხრობაში ვხვდებით წრუტის პერსონაჟს, რომელიც მთხრობელს, ახალგაზრედა ბიჭს ეუბნება თუ როგორ დაეღუპა მამა ვაზიანის ბრძოლაში და აუცილებლად უნდა იძიოს შური სისხლითვე... წრუტი იმასაც დასძენს, რომ კაცობა მხოოლოდ წიგნების კითხვა არ არის და მისი მთავარი მოტივი ეხლა სწორედ სამშობლოს დაცვა და შურიასძიება უნდა იყოს. ამას მოუწოდებს ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ბავშვს, რომელიც ამგვარი წაქეზებით მარტივად დაუშვებს შეცდომას.

„მე ისე ვარ შეპყრობილი მამაჩემის სისხლს აღების წყურვილით, არაფერზე დავიხევ უკან. თანაც რა არის კიდევ, ყველანი დიდები არიან. მე ვარ ყველაზე პატარა და, მე რომ მავალებენ საქვენო საქმეს, ესეც მეამაყყება“...

ღრმა ემოციით გვიჩვენებს მწერალი, როგორ მოსწონს პატარა ბიჭს, რომ სისხლი უნდა აიღოს და სამშობლ გადაარჩინოს. ამ დროს მკითხველი გრძნობს, შეიძლება განადგურდეს ბიჭი. წრუტი და ტორიანი („ტორიანი, ეგეაც ხომ გაგიგონია, დიდი მამულების დამკარგავი, ციხეში ნაჯდომი. ტორები ჰქონდა,მართლა რა ვაშლივით დაიჭერდა ადამიანის თავს.“) კი მას კომკავშირის თავმჯდომარის მდივნის მოკვლისაკენ მოუწოდებენ, თავად ამ დროს მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ და საერთოდ არ ანაღვლებთ ის, რომ ბავშვი მკვლელი უნდა გახადონ...

განა შესაძლებელია სისხლი სისხლითვე ჩამოირეცხოს! არამც და არამც... ერთი მკვლელის მოშორებით მეორე ემატება ქვეყანას, ჯამი კი უცვლელი რჩება...

ბიჭი თავდაპირველად დაუფიქრებლად მოქმედებს და შეპყრობილია შურისძიების სურვილით, თუმცა დგება მეორე ეტაპი როდესაც უნდა მოკლას

ადამიანი. ხეზე მჯდომარე ელოდება რაიკომის თავმჯდომარის მდივნის გამოჩენას, ამ დროს კი უყურებს თავის თანასოფლელებს, მათ ცხოვრებისეულ სასიამოვნო ყოფას და მისდაუნებურად იწყებს ფიქრს „დამიარა ჟრუანტელმა ტანში. როგორია, ჰა, კაცის მოკვლა! მერე შენი სოფლელისა, რომ იცნობ, გიცნობს, გამარჯობას ეუბნები. თანაც პატარა შვილებვი ჰყავს, კიბეზე ელოდებიან. თავიც საშინელებით გაქვს გამოტენილი - მკვლელს მოკლულის სისხლი არ მოასვენებს, რამდენსაც ხელს წაიღებს ხორცისკენ, იმდენი მოკლული დაუდგება წინაო“.

ბიჭი ხედავს ცხენზე ამხედრებულ რაიკომის თავმჯდომარის მდივანს, არხეინად რომ ზის ცხენზე და თან წიგნს კითხულობს.

ბიჭი ძალიან განათლებულია, ერთგან აღნიშნავს კიდეც რომ წიგნი ხატივით ჰქონდა დასვენებული სახლში და ძალიან უყვარდა იგი, განსაკუთრებით კი ორი ნაწარმოები იზიდავდა „გამზრდელი“ და „ალუდა ქეთელაური“. ადვილია იმის გააზრება თუ რატომ ირჩევს რეზო მაინცა და მაინ ამ ორ ნაწარმოებს, ნაწარმოებს სადაც იდეალურადაა წარმოჩენილი ადამიანობის საკითხი. პირველ ნაწარმოებში „გამზრდელი“ ბათუცა და ჰაჯი უსუფიც თავს იკავებენ კაცის მკვლელობისაგან. ხოლ მერორე შემთხვევაში „ალუდა ქეთელაური“, რომელიც ბრძოლის დროს კლავს მუცალს, მაგრამ როგორც კი იწყებს ფიქრს, თუ როგორი კარგი ვაჟკაცი მოკლა, ეუფლება დიდი სინანუის. სწორედ ამიტომ მოჰყავს მწერალსაც მაგალითად ეს ორი ნაწარმოები „წიგნში“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი კი სათანადოდ აღიქვამს წიგნის მნიშვნელობას.

განა კარგია შვილს მამას როცა უკლავენ... განა კარგია თავად უმამოდ რომ არის და ვიღაცა კიდევ უნდა დატოვოს უმამოდ. პერსონაჟს სძლევს თავისი სულიერი მხარე, იგი კომკავშირის თავმჯდომარის მდივნის სახის მიღმა ხედავს მისნაირ კაცს და არა წრუტისა და ტორიანის მსგავსს „წარმომიდგა ის ხალხიც მე რომ დავალება მომცეს, ჩაბურძგნულები, ფინთი სიცივე რომ მიაქვთ, საცა კი მივლენ“. ბიჭი მაშინვე ხვდება რომ მკვლელობა ყველაზე ცუდი გამოსავალია.

სწორედ ამიტომ დაარქვა რეზომ ნაწარმოებს „წიგნი“. ეს ორი ადამიანი ხომ სწორედ წიგნის სიყვარულმა გააერთიანა. კაცობა კი ხოცვა-ჯლეტა კიარა, არამედ ერთმანეთის სიყვარულია. ამიტომაც მიდის იგი სოფლიდან და ქარხანაში იწყებს მუშაობას...

დგება დრო როდესაც ეს ბიჭი აძლევს თავის დაწერილ წიგნს კომკავშირის მდივნის თავმჯდომარის შვილს და კარგად ჩანს რომ ეს „შვილი სწორედ რეზო ინანიშვილია, იგი ამბობს: „მე ის წიგნი დღემდე შენახული მაქვს, რომელიც მომცა“...

ამ ადამიანმა რეზოს ასწავლა, რომ წიგნი ხატის მსგავსია და უნდა გავუფრთხილდეთ მას. წიგნის ფასი ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს უკუნითი უკუნისამდე...

„ჩიტების გამომზამთრებელი“ რეზოს ერთ-ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოთხრობაა. ნოველა საბჭოეთის ეპოქას ეხება, როდესაც ადამიანები, ცხოვრობდნენ ერთფეროვან შავბნელ ყოფაში.

სიყვარულისგან დაცლილი გარესამყარო, საზოგადოება და ოჯახები... ადამიანი, რომელსაც გული აქვს სავსე სითბოთი და სიყვარულით, არსებულ ყოფიერებაში ცხოვრება მისთვის უდიდესი განსაცდელია. რეზო გვიხატავს თითქოს ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ყოფით ცხოვრებას, სადაც იგრძნობა სიცივე და გაუტანლობა ერთმანეთისადმი. მწერალი მოთხრობას სახლის აღწერით იწყებს და ჩვენს ყურადღებას იქცევს კედელზე დაკიდებული სურათი, რომელზეც გმოსახულია ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელთაც შორისაც ზის ორი-სამი წლის გაბრაზებული ბიჭუნა. თითქოსდა ბიჭს სახეზე ასახვია ოჯახში არსებული მდგომარეობა, იგი არ ინიღბება ისე, როგორც ამას თავისი მშობლები აკეთებენ. მოთხრობაში ვხედავთ ცოლ-ქმრის დაუსრულებელ კამათს. როცა მამას უნდა სულ პატარა საჩუქრით გაახაროს შვილი, დედა ძლიერ უკმაყოფილოა და იწყებს დაუსრულებელ წუწუნს:

„მე აღარ შემიძლია. მეც ხომ ადამიანი ვარ. კარგი, ადამიანისა აღარ შემრჩა აღარაფერი, სულდგმული ხომ ვარ. აი, ვიკუნტები, ვიკრუნჩხები, და ისე გევედრები: მე აღარ შემიძლია, გავთავდი, მოვრჩი ცოტა დამეხმარეთ“ (ინანიშვილი, 2012:219) ყოველივე ეს კი იმიტომ ხდება, რომ საკუთარი შვილებითაა უკმაყოფილო, შვილებით, რომლებიც ანტიბიოტიკებით მოიყვანა დღევანდელ დღემდე...

მამაკაცი ყველანაირად ცდილობს, მიახვედროს ცოლს, რომ შვილი ძალიან ძვირფასია და ცოტაოსდენი სითბო და სიყვარული სჭირდება მას, ის რომ სკოლაში მიღებული ორიანით ცხოვრება არ სრულდება... ყველაფერი გაცილებით უფრო მძაფრდება , როდესაც ბავშვი ბრუნდება უკან.

ბავშვი ძალიან გახარებულია უჩვეულოდაც კი: „შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული გრძელი თმა კიდევ უფრო უპატარავებს ისედაც პატარა, სიგამხდრისაგან ჩამუქებულ, ჩაკეტილ სახეს. გაბერილი პარკი უკავია მკერდტან, მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმენდს ფეხებს“...

ბიჭის აღწერისას კარგად ჩანს, რომ მას აკლია მოვლა და მისი გარეგნობა ცხადყოფს მის შერყეულ ჯანმრთელობას. ყველაზე უფრო კი სითბო, სიყვარული და ალერსი აკლია. ერთმანეთის მიმართ აგრესიით განწყობილ ცოლ-ქმართან შემოდის გაღიმებუული ბიჭი, მაგრამ ამაოდ... მისი სიხარული ძალიან ხანმოკლეა. ბიჭუნამ ჩიტები მოიყვანა გამოსაზამთრებლად, თუმცა დედამ ორივე მათგანი უმოწყალოდ დაუხოცა: „დიდი, საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავსე. მიდის, ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთით. მერე-მეორეს. დგას ჩიტებით ხელში,თითქოსდა ფეხებდაუძლურებული. მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის“.

სიხარული, რომლითაც სავსე იყო მისი თვალები, უეცარმა მწუხარებამ და ცრემლმა შეუცვალა. მამა კი ხმასაც არ იღებს, რადგან აზრი არ აქვს და აღარც ძალა აღარ აქვს, დაიწყოს დაუსრულებელი კამათი ცოლთან...

ბიჭს კი ფაქტობრივად მშობელმა დედამ ოცნებები დაუხოცა, ღირსეული არაფერი დაუტოვა. ბიჭს არ უნდა გახდეს საკუთარი ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელი, უსიყვარულო, ნაცრისფერი და უსიცოცხლო.

რევაზ ინანიშვილს უნდოდა სამყარო სასიკეთოდ შეცვლილიყო და ცდილობდა პრობლემების ისეთი კუთხით ჩვენებას, მისი მოგვარება შესაძლებელი რომ ყოფილიყო. თითოეულ ნაწარმოებში გვიტოვებს ტკივილს, რათა ყველა ჩვენგანი კიდევ ერთხელ დააფიქროს და მიახვედროს ცხოვრების ჭეშმარიტებაში - ბედნიერება ერთმანეთზე ზრუნვასა და სიყვარულიშია.

რევაზ ინანიშვილის შინაგანი სამყაროს უკეთ წარმოსაჩენად ასევე მნიშვნელოვანია მისი კიდევ ერთი, ძალზედ საინტერესო მოთხრობა „დამრიგებელი“. ნაწარმოებში ასახულია თორმეტი წლის მოზარდის ცხოვრება თანმდევი პრობლემეი, რომელშიც შეიძლება ბევრმა საკუთარი თავი დაინახოს.

მოთხრობა ეხება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას. აღწერილია განსაკუთრებული სირთულით გამორჩეული სოციალისტური პერიოდი, პერიოდი სადაც ყველაფერი დიქტატორული რეჟიმის მარწუხებში არის მოქცეული და ყველანი იძულებულნი გამხდარან ზემოდან დაგეგმილ კანონზომიერებებს უპრეტენზიოდ დაემორჩილონ. როგორც რევაზ ინანიშვილი, აღნიშნავს ვცხოვრობდით მშვიდად, ტკბილად, აუმღრევლადო, თუმცა კარგად ჩანს რომ ეს სიტყვები სიმწრის სიტყვები უფროა, ვიდრე ბედნიერების. ასე მხოლოდ საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, უმრავლესობა ვერც კი იაზრებდა არსებულ ყოფა და უბრძოლველად მიჰყვებოდა ცხოვრების დინებას.

მოთხრობის მთავარი გმირი თორმეტი წლის ბიჭია, რომელიც ყოველივეს გაფართოებული თვალებით უყურებს. ბიჭი სამყაროს შეცნობას ახლა იწყებს და ვინ იცის, რამდენი სირთულე ელოდება წინ. ყველაფერი საფრთხილოდ ეჩვენება. მთავარია არ გაბოროტდეს და უკეთურების მსახური არ გახდეს. მის სახეში რევაზ ინანიშვილის პროტოტიპსაც ვკითულობთ. ისიც ხომ დიდი ბავშვია, რომელსაც არ შესწევს უნარი გაბოროტდეს და სიკეთეს უღალატოს.

შემოდის კლასში დამრიგებელი და საინტერესოდ აღიქვამს მას პატარა ბიჭი: შემოვიდა დამრიგებელი, ფერმკრთალი, ტანსწორი ქალი, შემოანათა თეთრად დაფენილი საყელოთი და თითქოს გაჩერებული შავი თვალებით. მწერალი, ყურადღებას ამახვილებს დამრიგებლის არაფრისმთქმელ უემოციო თვალებზე რომელიც მთლიანობაში ქანდაკებას დამსგავსებია. დამრიგებელი აცხადებს, რომ ყველას სახლში უნდა მივიდეს და შეამოწმოს მოსწავლის კუთხე, სწორედ აი, აქ იწყება ბიჭისთვის ყველაზე ტრაგიკული მომენტი.

პირველ რიგში დავინახავთ იმ საშინელებას, რასაც სოციალიზმი მოითხოვდა ადამიანისაგან: „მოსწავლის კუთხე ყველას უნდა გვქონოდა. იმ კუთხეში პატარა მაგიდა უნდა მდგარიყო. კედელზე გაკრული უნდა ყოფილიყო ბელადების სურათები, ქვემოთ გაკვეთილების ცხრილი, სულ ქვემოთ-მოსწავლის დღის რეჟიმი“(რევაზ ინანიშვილი 2010).

მოსწავლეს უნდა ჰქონოდა ყველაფერი ის, რითაც ზრდიდნენ საბჭოთა მოქალაქეს. ის უნდა ყოფილიყო ბელადების მორჩილი და ცხოვრება უნდა ჰქონოდა არსებულ რეჟიმს მორგებული.

რატომ არ უნდა ბავშვს რომ სახლში მივიდეს დამრიგებელი? რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ხუთ სულიანი ოჯახი სულ რაღაც რვა კვადრატულ მეტრში ცხოვრობს, ძალიან დიდ სიდუხჭირეში. გული მოგიკვდება ბებიას ყურებისას. რომელსაც ხან მაგიდაზე სძინავს და ხან იატაკზე. გაუსაძლისი პირობებია

საცხოვრისში, სადაც ხშირად წვიმა შედის. ბიჭს ახლადგაღვიძბია თავმოყვარეობა და არ უნდა მასწავებელმა მისი სიდუხჭირე ნახოს, შემდეგ სულში უფათუროს ხელები. ამიტომაცაა, რომ ბიჭი იქცევა ისე, როგორადაც არასდროს არ მოქცეულა: „სანამ კარგად არ დაღამდა, ქვემოთ აღარ გადამიხედავს, - არ მინდოდა დამრიგებელს შინ დავხვედროდი. მეორე დღესაც ასევე, - მოვედი სკოლიდან და დავიკარგე. მერეც, მთელ კვირას, დაღამდებოდა და მაშინ ძლივს გავბედავდი შინ მისვლას“(რევაზ ინანიშვილი 2010).

მას შემდეგ რაც დამრიგებელი ნახავს ბიჭის საცხოვრებელს, მას ძალიან რცხვენია მისი ნახვა. საბედნიეროდ მასწავლებელი კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდება. მოულოდნელად ბიჭს ავალებს, სახლში ნავთი მიუტანოს. როცა ბიჭი ნახავს, რომ დამრიგებელი მასზე უფრო პატარა ოთახში ცხოვრობს და მასზე მეტად უჭირს, იგი ხვდება დამრიგებლის მიზანს. აღწერილი სურათით მკითხველი ადვილად იგებს მოთხრობის მთავარ სათქმელს - სიღარიბე არ არის სირცხვილი ანდა ცხოვრებისეული დაღი... ბიჭს ამის შემდეგ ყველაზე მეტად უყვარდება დამრიგებელი: „ერთხელ დავინახე, როგორ სტაცებდა ქუჩაში იმ თმას და კაბის კალთებს ქარი. დამრიგებელი ერთი ხელით-კაბის კალთებს და იცინოდა... ამგვარი მშვენიერი სიცილი მერე აღარ მინახავს ქვეყანაზე“ (რევაზ ინანიშვილი).

რევაზ ინანიშვილის დაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენის სურვილით იყო მუდამ გულანთებული. გვასწავლიდა როგორ უნდა ვყოფილიყავით ადამიანები, როგორ გვეცხოვრა ადამიანურად, სითბოთ, სიყვარულითა და ალერსით გაძლიერებულებს. ხანდახანიმაზეც დაგვაფიქრებდა ხოლმე, თუ როგორ არასწორად ვექცევით გარესამყაროს. ყურადღებას შევაჩერეთ ერთ პატარა, ძალიან საინტერესო მოთხრობაზე „მუხა“... ნაწარმოებში ნაჩვენები არის საოცარი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი.

მოთხრობის შესავალშივე ვხედავთ მდუმარე მუხას, დაღლილსა და მრავალჭირნახულს, საუკუნეებმა რომ დააუძლურა და ძველი, დიდებული იერსახე

დააკარგვინა: „ეს მუხა ტყის პირას დგას, - ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვევა ვინმე, - ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი“.

ავტორს, სურს ამ ნაწარმოების საშუალებით დაგვაფიქროს მოხუცი ადამიანების ყოფა-ცხოვრებსა და პრობლემებზე. სურს შეგვახვედოს ხანდაზმულ ადამიანს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ყველას მიუტოვებია და ვალმოხდის მიზნით თუ იშვიათად ნახავს ვინმე. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენც დავბერდებით და იგივეს თუ გაგვიკეთებენ, გული მოგვიკდება. ასევე სტკივა მარტოობა მუხასაც, რომელიც სიბერის ჟამს ყველას მიუტოვებია. მწერალი მუხის მდგომარეობის აღწერით დაგვაფიქრებს და გაგვთავისებინებს, თუ რაოდენი დიდი ტკივილი შეგვიძლია მივაყენოთ სხვას: „ამ რამოდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ აყაყანდნენ: არა მე გჯობივარ სროლაში, არა მეო. ზოგი ფეხმორთხმული ისროოდა ზოგი, ზოგი-წამოწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით“.

აი, ეს სიცილით გაშვებული ტყვია ვიღაცის სიცოცხლის ფასი შეიძლება იყოს და ათასნაირი ტკივილი მიაყენონ სხვას. მუხის ტკივილი ის სიმწრის ნაფლეთებია, რაც მუხას ცვიოდა და გლეჯდა მის „სხეულს“.

მონადირეების წასვლისთანავე ყველაზე მეტად მუხას ბუნებამ უთანაგრძნო და მოეფერა „მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო“.

რამოდენიმე წლის შემდეგ, ის მონადრე, რომელმაც ასანთის კოლოფი დასვა მუხაზე, უკვე მოხუცებულიყო, ცხოვრებაში უამრავი რამ ენახა და ახალგაზრდული წლებიც გასვლოდა, შვილიშვილთან ერთად მოვიდა მუხასთან. ხანდაზმულ მამაკაცს

საოცრება დახვდა: „მუხის ნაჭრილობევში მთელი ბღუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა“(რევაზ ინანიშვილი 2012). მონადირის შვილიშვილმა აღტაცებულმა ჩაიმუხლა და მუხას მოეხვია. ბავშვი თავისი ბავშვური უბრალოებით ეალერსება მუხას. პატარა გოგონამ გამოხატა ის გულწრფელი სითბო და აღტაცება, რომელიც ასე ძალიან უნდოდა მუხას. რეზო ინანიშვილი ასე ასახავს სიცოცხლის სიდიადეს.

მეტად საინტერესოდ ასრულებს ავტორი მოთხრობას: „მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა“. ამ ქუდის მოხდასა და თავდახრაში მოხუცმა გამოხატა სინანული ახალგაზრდობაში ჩადენილი საქციელის გამო.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „გიმნასტურიანი კაცი“ ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაა მოთხრობილი - დუნე, ერთფეროვანი, რაღაცნაირ რიტმს დამორჩილებული (შოთაძე, 2009:81).

“დიდი ხანია, თვალს ვადევნებ ამ კაცს. ცხოვრობს ჩვენს ზემოთ, ომის შემდგომ წლებში დასახლებულ გორაკზე. არ ვიცი, საიდან არის ჩამოსული. პირველად რომ გამოჩნდა, ვგონებ ორმოცდაშვიდი წელი იყო, სამხრეებმოხსნილი გიმნასტურა ეცვა“ (ინანიშვლი 2012:218).

„სამხრეებმოხსნილი გიმნასტურა“, როგორც მწერალი აღნიშნავს, ახალი დემობილიზებული უნდა ყოფილიყო არმიიდან. ომი ზოგადად ძალიან ცვლის ადამიანებს. განსაკუთრებით კი მათ ხასიათზე ავლენს ცვლილებებს, მაგრამ როგორც მწერალი ამბობს ეს კაცმ არ გამოირჩეოდა „დემობილიზებულთათვის დამახასიათებელი სიამყით“ (ინანიშვილი 2012:218).

გიმნასტურიანი კაცი ცხოვრობს დუნე, ჩვეულებრივი ცხოვრებით, რომელსაც არაფრის დიდდებით არ ცვლის. მისთვის შეუცვლელი წესია „მაზუთიანი შპალის ნახევის“ ზიდვა. შესაძლოა ეს გარშემომყოფთ (კერძოდ ტრამვაის მგზავრებს)

დისკომფორტს უქმნის, მაგრამ ეს ნაკლებად აინტერესებს. მისი ცხოვრებაც შესაბამისად განწირულია მუდმივი ერთფეროვნებისთვის: „ეს გიმნასტურიანი, ჯერაც ისევ ახალგაზრდა, ბეჭებგანიერი, მშვიდად ჩამოიტანდა მაზუთიან შპალის ნახევს, გაიდებდა მხარზე, რომელზედაც წინასწარ გაიფენდა შავად გაპოხილ მუშამბას, მარჯვენა ხელში დაიჭერდა მშვიდად ნაქსოვ ბადურაში ორ დიდ შავ პურს და დინჯადაც შეუყვებოდა გორაკის გზას“ (ინანიშვილი, 2012:219).

გიმნასტურიან კაცს საკუთარი სამყარო მკაცრად ჩაუკეტავს და შიგ არავის უშვებს. არავის აძლევს მის საქმეში ჩარევის უფლებას. შეუძლია, მიაყენოს შეურაცხყოფა უცნობ ადამიანს თუკი იგი მის საქმეში გაბედავს ჩარევას. ერთხელ გზად ვიღაც სათვალიან კაცთან მოუხდა შელაპარაკება და ისე გასცა პასუხი, რომ ერთგან მწერალი აღნიშნავს ამ კაცზე: „ან იქნებ შინამდეც ვერ მიაღწია, გზაზე გაუსკდა გული“ (ინანიშვილი, 2012:220).

გავიდა დრო გიმნასტურიან კაცს თანდათან შემოეფანტა ირგვლივმყოფნი და თითქმის მარტო დარჩა, მაგრამ მარტო დარჩენის სევდამაც ვერ დაარღვია მისი ცხოვრების რიტმი. ეს ადამიანი თითქოს საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა და გამოსვლას არც კი ცდილობდა. ამ ნაჭუჭით შესაძლოა იგი თავს იცავდა საზოგადოების აგრესიისგან, რამე თუ საზოგადოება ან იმსგავსებს ყველას ან კვეთავს განსხვავებულს.

იმდროინდელი რეალობის უმძიმეს ყოფას ეხმიანება მწერალი მოთხრობაში „ეთერი“. აღგვიწერს მიყრუებულ, სამმოსახლიან სოფელს, სადაც შინაც კი, სოცილისტური პლაკატები უკიდიათ კედლებზე: „დავიცვათ ტყე ხანძრისგან“, „მივცეთ სამშობლოს მეტი და მეტი ხორცი“, „ვთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად“. აქ კარგად ჩანს თუ როგორ ძლიერად მუშაობდა იდეოლოგიური მანქანა. ეს ის ხანა, როდესაც ყველასა და ყველაფერს კომუნისტური რეჟიმი განაგებდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ადამიანებს აიძულებდნენ მთიდან ბარში წამოსვლასა და მთის სოფლების ნასახლარებად ქცევას.

ანალოგიური მდგომარეობაა სკოლაშიც. აქაც ძირითადად იმ მწერალთა ფოტოებია გამოფენილი, რომლებიც მათთვის და მათი იდეოლოგიებისთვის მისაღები იყო.

„ეთერი“ ეხება სიკვდილ-სიცოცხლის თემას. ამ პატარა მოთხრობაში ასახულია სოფლელი გოგონას ყოველდღიური ყოფა. თითქმის ნასოფლარად ქცეული მთა და დასახურად განწირული სკოლა. „ამ სოფლიდან ყველანი წავიდნენ, ზოგნი-ქალაქში, ზოგნიც-აქვე ახლოს ბარის სოფლებში“ (ინანიშვილი 2010:133).

მიტოვებული სოფლის ყოფას ემატებიან მიტოვებული დედაბრები, რომელნიც დროისგან დავიწყებულნი და ჟამისგან შელახულნი, მარად ვიღაცის მომლოდინენი არიან: „ხან წარბებთან უდევთ აკანკალებული ხელი, ხან ყურის უკან; გამუდმებით ვიღაცას ელიან ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს:

- ბიჭო, გოგო! ხომ არავინა ხართ მანდ?“

სულისშემძვრელია მარტოხელა მოხუცებულების ყოფის აღწერა. თითქოს აქ ყველაფერი გახუნებულა და დაბერებულა. არსად ისმის ჟრიამული და სიცოცხლით ტკბობა, ირგვლივ მხოლოდ სევდა გამეფებულა. გარშემო მხოლოდ „დაჩამიჩუმებულ“ ხეებს თუ დაინახავ, „გადაყრუებულ ძაღლს“ და „ძურწაშეხორხლილ თხას“.

მოხუცებულის ახლოს ფერს კარგავს გარემო, არ ჩანს სიცოცხლე და სიხალისე, თითქოს ბუნებაც ერიდება სიბერეს. სოფელი, სადაც ეკლესიაც კი დანგრეულა, ყველაფერს დაჰკარგვია სიცოცხლის ელფერი: „სკოლის იქით მოჩანს ძველი დანგრეული ეკლესია. ნანგრევის წვერში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზის“...

თითქოსდა მტრედიც კი მოწყენილია. ირგვლივ ყველაფერი უფერული და უსიცოცხლოა. ამ სურათის ფონზე სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოდ ასახულია ეთერი. ბავშვი თითქმის ნასოფლარად გადაქცეული სოფლიდან დადის ნახევრად დანგრეულ სკოლაში, სადაც მხოლოდ რამოდენიმე მოსწავლე დარჩენილა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გოგონას მაინც უხარია ყოველი ახალი დღის

გათენება, მხიარულად მიიჩქარის სკოლაში, გულმოდგინეა და შრომისმოყვარე. პატარა გოგონა თავისი ცხოვრებით ძალიან ბედნიერია. სიცოცხლე გრძელდება და მწერალი იმედს გვიტოვებს, რომ ამ „სოფლისათვის“ ხვალინდელი დღეც აუცილებლად გათენდება...

თავი II. ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებამ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. ჩუმად, უხმაუროდ გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და თავისი შემოქმედებით ჩუმადვე უძღვებოდა მადლიანი სიტყვის ზეიმს მკითხველთა საუფლოში. ჰუმანიზმი იყო მისი მოთხრობების უპირველესი წყარო და საფუძველთა საფუძველი. არ ძალუძდა მის გარეშე თუნდაც ერთი სტრიქონის ფურცელზე გადატანა. ამას, ბუნებრივია გულწრფელად და უანგაროდ აკეთებდა, რადგანაც სხვაგვარად არ შეეძლო.

რევაზ ინანიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა თავის სიყვარულით ნასაზრდოები პრინციპებისა და ჰუმანიზმის მთავარი არსს განსხვავებული აზრის პატივისცემაც შეუსისხლხორცა. ჰუმანიზმი სხვა რაღაა, თუ არა სხვა აღმსარებლობისა თუ კულტურის მქონე პირთა შემწყნარებლობა, ხოლო ზნეობრივი კანონი გამოითქმება სახარების სიტყვებით „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მთ.19.19).

ჰუმანიზმი კაცობრიობის უძველესი მონაპოვარია, ეფუძნება ისეთ შეხედულებებს, რომლის ძირითად ღირებულებად ადამიანი მიიჩნევა და აღიარებს მის უფლებებს - იყოს თავისუფალი, ბედნიერი, თანასწორი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჰუმანიზმის გაგებამ განვითარების ახალ ეტაპს 18-19 საუკუნეებში მიაღწია და თანამედროვე გაგების საბოლოო სახეც ჩამოყალიბდა. თეზისის მიხედვით, საზოგადოებრივი წყობა უნდა შეესატყვისებოდეს ადამიანის აღიარებულ უფლებებს. ეს ითვალისწინებს ნებისმიერი სახელმწიფოებერივ-პოლიტიკური სისტემის დაფუძნებას ადამიანის მიზნებსა და პოტენციალზე ისე, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების გამორიცხული არ უნდა იყოს.

ადამიანი, რომელიც ხასიათდება თავისი ზნეობრივი ღირებულებებით, მიიჩნევა ჰუმანურ პიროვნებად. ოდითგანვე იყო დაპირისპირება ბოროტებასა და

სიკეთეს შორის და ეს ჭიდილიც აქტუალური თემა იყო ქართული ლიტერატურისა, ქართულ მწერლობას ხომ, ამის მრავალსაუკუნოვანი და საინტერესო გამოცდილება აქვს.

ჰუმანიზმი გახლდათ პროგრესული მიმდინარეობა, რომელმაც აღიარა ადამიანის თავისუფალი განვითარების აუცილებლობა, მისი გათავისუფლება ფეოდალების ბორკილებისა და კათოლიციზმის შეზღუდვებისგან.

ჰუმანიზმზე საუბრისას, აუცილებელია განვიხილოთ დეჰუმანიზაციის პროცესი, რაც ჰუმანიზმის პრინციპთა გაუფასურებას გულისხმობს. ადამიანმა უარი უნდა თქვას ისეთ ცხოვრებაზე, რომელიც აღმოცენებულია დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანის უფლებებსა და სამართლიანობაზე. დეჰუმანიზაცია გულისხმობს საზოგადოების წევრთა დაპირისპირებას. იგი ჩაგრავს ინდივიდს, რომელიც ისწრაფვის ჰუმანიზმის პრინციპების დასაცავად. დეჰუმანიზაცია უარყოფითად მოქმედებს არამარტო სახელმწიფოზე, არამედ მისი თითოეული მოქალაქის არსებობის ღირებულებებზე.

ჰუმანიზმი, მსოფლმხედველობითი და ეთიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით უფრო და უფრო ძლიერდება, მკვიდრდება სხვადასხვა ერის აზროვნებასა და კულტურაში. თანამედროვე მსოფლიოში რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გვიწევს ბრძოლა უფლებათა დასაცავად, მაგრამ სულ უფრო კლებულობს ადამიანების ჩაგვრა და დისკრიმინაცია. ჰუმანიზმი კი, არის ის, რაც ნამდვილად მისასალმებელია. იგი აგრძნობინებს თითოეულ ადამიანს თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ადამიანის უპირველესი მოვალეობაა იყოს ადამიანი!

ჰუმანიზმის განვითარების უპირველესი პირობაა დემოკრატიული გარემოს არსებობა. მეოცე საუკუნის საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების (საბჭოეთის დიქტატურა) მიუხედავად, ეს პერიოდი ქართულ მხატვრულ

ლიტერატურაში მაინც ამბობს თამამ სიტყვას ჰუმანიზმზე, სიკეთესა და სიყვარულზე, რაშიც სხვა გარემოემებთან ერთად, ლომის წვლილი მიუძვის ეროვნულ მხატვრულ ლიტერატურას თავისი რჩეული მწერლების გათვალისწინებით.

შემოქმედი ადამიანი უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული ნიჭით, თითოეული ჩვენთაგანი არ შეიძლება იყოს მწერალი ან პოეტი. რეზო ინანიშვილი კი ნამდვილად გახლდათ ქართველი ხალხის სიამაყე და იშვიათი ნიჭიერებით გამორჩეული ღირსეული ხელოვანი. თუკი იკითხავთ, მაინც რითი იყო გამორჩეული რეზო ინანიშვილის შემოქმედება, პასუხის გასაცემად მკვლევარ ვახტანგ კოტეტიშვილის აზრს მოვიშველიებ: „ხელოვნება ხომ მხოლოდ „სათქმელი“ არ არის, არამედ „თქმაა“. სწორედ, ამ თქმის დიდოსტატია რევაზ ინანიშვილი, მისი მოთხრობები სულ სხვაა, უაღრესად გულწრფელი და ჰუმანიზმით გაჯერებული. ქართული მხატვრული სიტყვის დისოსტატის მხატვრული ნაწარმოებები მთელი გრძნობით, სითბოთი და სიყვარულითაა სავსე, სიტყვას ვერ შეცვლი, ვერ გადაადგილებ, რადგან ყველაფერ იქაა, სადაც უნდა იყოს. მას შეუძლია ბოროტება სიკეთედ აქციოს, რაც მწერლისგან უზარმაზარ ენერგიას მოითხოვს.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს მიღმა იგრძნობა მძაფრი ემოცია, მწერალს ყოველივე თითქოსდა გულიდან ამოუღია და ისე დაუწერია თითოეული სტრიქონი. მისი უკვდავი ნაწარმოებები სავსეა უსაზღვრო კაცთმოყვარეობით. შემოქმედს საოცარი ღვთითმომადლებული სიკეთის ქმნის და აღქმის ნიჭი აქვს...

მას უნდოდა კაცობრიობა უკეთესი ყოფილიყო, რისთვისაც მწერლურ ტალანტს ზოგავდა და არც ენერგიას. როდესაც ეცნობი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას, სიყვარულით ივსები და ძალა გემატება, ხვალინდელ დღეს მეტი ოპტიმიზმით ხვდები. რეზოს მოთხრობები ისეთია, ერთ ამოსუნთქვით, მთელი გრძნობით რომ უნდა წაიკითხო.

როგორც თავად რეზო ინანიშვილი ამბობს: „მე რომ მწერლობაში მოვდიოდი, მეგონა, რომ აქ დამხვდებოდა სულ მუდამ გიზგიზა პუშკინი, დემონივით მუხლებზე ნიკაპდაყრდნობილი ლერმონტოვი, სამყაროსთვის მკერდგაშლილი ვაჟა, ჩახმახივით წკიპზე შემდგარი ბუნინი. დამხვდით კი -საქმიანი ცოლების მონები, ერთი საზღვარგარეთული ყურბალიშის შინ წაცუნცულება რომ გირჩევნიათ მთელი ქვეყნის ულამაზეს ქალების ღიმილს. წერთ - იკეთებთ რაც შეიძლება რბილად დასაჯდომ სავარძლებს“...

მწერალი ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ყოფაში ხედავს კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას. იქ, სადაც სულიერი და მორალური ცხოვრება გაუფასურების პირასაა. რეზო ინანიშვილი მთელი გულით გვეპატიჟებოდა ჰუმანიზმით სავსე სამყაროში და უნდოდა მისი ღირსნი ვყოფილიყვით ან თუნდაც ოდნავ უკეთესები, ვიდრე ვართ.

და მაინც.. როგორ ლამაზად, განსაკუთრებულად უნდა გვაგრძნობინოს და ჩვენ თვალწინ გააცოცხლოს გაზაფხულის პირის ნათელი სურათი: „თეთრი, ფაფუკი ნისლები მოვიდნენ. დათბა და თოვლმა სწრაფად დაიწყო დნობა, მთელი ღამე წვეთავდა სახლების სახურავებიდან. დილითაც ნისლი იწვა, ოღონდ ახლა-თხელი, მთრთოლვარე. მზე რომ შემომაღლდა, ისიც გაიფანტა. მყუდროებაში მიწას ოხშივარი აუვიდა. ჩიტები ერთ ამბავში იყვნენ...“.

სწორედ, ასეთია რეზო ინანიშვილი, მას ძლიერ უნდოდა თითოეული ჩვენგანის სული ისევე გაეხარებინა და გაელამაზებინა, როგორ ლამაზადაც მოსავს და აფერადებს გაზაფხული არე-მარეს. რეზო ინანიშვილისთვის მწერლობა არ ყოფილა მარტო პროფესია, იგი მისთვის ცხოვრება იყო.

რთულია რევაზ ინანიშვილი მოიხსენიო მხოლოდ საბავშვო მწერლად, იმ დიდი შემოქმედების შემდეგ, რომელიც მან დაგვიტოვა, მაგრამ ამავდროულად უნდა გვიხაროდეს ჩვენი შვილების სიარული ისეთი ღირსეული მწერლის მოთხრობების

კვალდაკვალ, როგორიც რეზო ინანიშვილია. ადამიანი, რომლის პიროვნული მეც ზუსტად შეესაბამება მის შემოქმედებას. მისი სიტყვებით ლიტერატურა უნდა ქმნიდეს ახალ რეალობას თანაც ისეთს, რომ ადამიანს ცოტაოდენი შვება მოუტანოს. მწერლის შემოქმედების მთავრი მიზანი სიკეთის თესვაა. როგორც გურამ ასათიანი ამბობს: „მან ჩუმი, მკაცრი რუდუნებით საკუთარი „შენობა ააგო“, ყველასაგან განსხვავებული „შენობა“. მისი შენობის სარკმელები კეთილად იმზირებიან ცისკენ, ხალხისკენ, მთა-გორებისკენ, და ეს მაშინ, როცა ყველას სადღაც ეჩქარებოდა, როცა ადმიანებს ერთმანეთისთვის არ სცალიათ, როცა უდროობა თანდათან აშორებთ მათ. ადამიანთა დაახლოება, სიკეთით აღვსება, გაბოროტებულ, გაუხეშებულ სულთა გაფაქიზება რ.ინანიშვილის მოთხრობებს შეუძლიათ“.

და მაინც, რაოდენ თბილად წერდა რეზო ინანიშვილი სამშობლოზე, ყველაზე ძვირფასსა და სანუკვარზე...

ყოველ ადამიანს გვაქვს ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად გვიყვარს და გველამაზება. დიახ, რეზოსაც ჰქონდა თავისი საყვარელი ადგილი, ყველასგან განსხვავებული და მისეული... სწორედ ასეთია მისი სოფელი, რომელსაც მოთხრობაში „წვიმასა და მზეში“ შესანიშნავად აღწერს: „დაბლა სოფელში ფერები მეტია-სახლების წითელი სახურავები, ცისფერი აივნები, შავადპირდაფჩენილი სხვენები... ვენახებში მდევებივით დამსხდარან ბუმბერაზი კაკლები, კურდრლაობს ყანა, ახასხასებენ ძარღვმაღალ ფოთლებს სიმინდები... შენ ოღონდ ყური მიუგდე და დააკვირდი!“

ეს სოფელი შესაძლოა ჩვენთვის ძალიან უბრალოა და არაფრისმთქმელი, მაგრამ ერთი პატარა სოფლელი ბიჭისთვის ყველაფერია, ისეთივე ძვირფასია, როგორიც რეზოსთვის იყო თავისი სოფელი. ადგილი, სადაც სუნთქვაც კი სხვანაირად შეეძლო, ყველაზე ბედნიერი და ლაღი იყო.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები ჰუმანიზმითაა სავსე, მისი ნაწარმოებების უამრავ პერსონაჟს შორის მთავარი ადგილი პიროვნებას ეთმობა, ანუ ადამიანს ამ

სიტყვის მაღალი გაგებით. ეს თემა მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებში იკითხება.

მოთხრობაში „კეთილი ბებერი ბუები“ მწერალი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სიკეთე ყოვლის შემოქმედია. ბუები, რომლებსაც სიბერის გამო ცხოვრების მიზანი დაეკარგათ და არარობის მტანჯველი განცდით შემოსილიყვნენ, სიკეთემ (ბავშვის, უცოდველი პატარა არსების დახმარების შესაძლებლობამ) თვალები აუგიზგიზათ, სიბერის ტკივილი შეუმსუბუქათ და თავი საჭიროდ იგრძნეს. სიკეთეს ყველასა და ყველაფრის შეცვლა შეუძლია. ნაწარმოების დასაწყისში თუ ვხედავთ თავიანთ უბედურებაზე მობუზღუნე ბუებს: „შე-ბუ! შე-ბუ! შე--ბუ!- რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო“. პატარა სიცოცხლის გადარჩენის შემდეგ კი ვუმზერთ თვალებგიზგიზა ბუებს: „ო, რა მშვენიერი სანახავები იყვნენ ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!“

სიკეთის სურვილი ყველაზე ლამაზი განცდაა, თანაც ისეთი სიკეთის უანგაროდ, რომ შეგიძლია გასცე და მადლობას არ მოელი. სწორედ, ასე უბრალოდ სიკეთისთვის დაეხმარნენ ბუები პატარა ლამაზ ბავშვს და არა მადლობის მიღების მოლოდინში.

მაინც რამდენი მოთხრობა შეიძლება განვიხილოთ და ვისაუბროთ რეზოს შემოქმედებაზე, სიკეთის თემა რომ ამოვწუროთ... სწორედ, რომ ამოუწურავია, უკიდეგანოა, გაჟღენთილია მისი შემოქმედება ჰუმანიზმით.

ჰუმანიზმზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ მწერლის კიდევ ერთი მოთხრობა „კეთილო“.

კეთილო იმ ადამიანის სახეა, რომელიც შესახედაობით დიდად არ გამოირჩევა, მაგრამ გული აქვს ისეთი, სულ დაგავიწყებს გარეგნულ მხარეს. კეთილოს ყურებისას კი დიდი-ფიქრიანი, ალერსიანი თვალების იქეთ ვერაფერს

ხედავ. მწერალი თავის ამ ნაწარმოებში თითქოს გვიცოცხლებს სოფლის სურათს, უამრავჯერ ნანახსა და მოსმენილს, მაგრამ მაინც განსაკუთრებულს... სიკეთით სავსე სურათს...

კაცობრიობა ორ დიდ ბანაკადაა დაყოფილი: ერთნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიყვარული ადამიანების მიერ გამოგონილი ისტორიაა და რეალურად არც არსებობს და მეორენი, რომლებიც მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, თვლიან, რომ სიყვარულშია ყოველგვარი ხსნა. მწერლის აზრით სწორედ ამ დიადი გრძნობის დამსახურებითაა შესაძლებელი ადამიანს ვუწოდოთ ადამიანი.

კორინთელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეში ნათქვამია: „ენასა ღათუ კაცსა და ანგელოზთა ვიტყოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წიწილანი, რომელი ხმობენ და მაქუნდეს ღათუ წინასწარმეტყველებაი და უწყოდი ყოველი საიდუმლოი და ყოველი მეცნიერებაი და მაქუნდეს ღათუ ყოველი სარწმუნოებაი ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყვარული თუ არა მაქუნდეს არა ვერაი ვარ“ (51:13:1-2).

რევაზ ინანიშვილს არ ეშინია გაუსწოროს რეალობას თვალი, კარგად ხედავს, რომ არაერთი ადამიანია დაცლილი ამ გრძნობისგან. მწერალს ასეთი ადამიანები მთელი გულით სტკივა, სულს უმძიმებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა იგი ეტრფის სიყვარულით სავსე ადამიანებს. „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“ (შოთა რუსთაველი); „ვისაც არ უყვარს, ის არ იცნობს ღმერთს, რადგან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, 4.8.) ნეტარია კაცი, რომელსაც შესწევს უნარი ფლობდეს ამ დიად გრძნობას...

მწერალი რევაზ ინანიშვილი ცდილობდა, ყველგადნ და ყველაფერში შეემჩნია მშვენიერება. რასაც კი მისწვდებოდა მისი მზერა ყველაფერი უფრო ღირებული ხდებოდა. მისი მოთხრობების კითხვის შემდგომ, თითქოს გვიასმაგდება სიყვარულის გრძნობა ყველასა და ყველაფრის მიმართ. შემოქმედმა სიყვარულის გულისთვის

ბუნებაც კი აალაპარაკა. როცა ბუნებაზე ვსაუბრობთ, რთულია გვერდი ავუაროთ ქართველ გენიოს პოეტს ვაჟა ფშაველას, რომელმაც ბუნებას ენა აადგმევინა და დაგვაფიქრა იმაზე, რომ მასაც ისევე სტკივა. ეშინია და უხარია როგორც ადამიანს. ეს უთვალავფერიანი სამყარო, რომელიც ვაჟამ არაერთგზის აამეტყველა, რევაზ ინანიშვილმა კიდევ სხვანაირად დაგვანახა მოთხრობაში „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“. მოთხრობაში ავტორი გვესაუბრება სიყვარულის მარადიულობაზე, სწორედ აქ წარმოაჩინა რეზომ სიყვარულის საოცრად დიდი ძალა.

ვკითხულობთ მოთხრობას „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“ და ჩვენ წინ იშლება ბუნების სურათი, რომელიც გვაგრძნობინებს, რამდენად დიდი ძალა აქვს სიყვარულს. მწერალი გვესაუბრება ისეთ გრძნობაზე სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდის, რომ არ კარგავს იმედს და ამ იმედს სწორედ სიყვარულის ძალა აძლევს: „ხეებით წვიმით გაშავებულ ტოტებს რბილი, ფაფუკი თოვლი დასდებოდა, ჟანგისფერ მიწას თეთრი, ფუმფულა საბანი გადაჰფარებოდა, კბოდეზე გადმოზიდული ნეკერჩხლის წითელი ფოთოლიც თოვლით იყო დამძიმებული, მაგრამ ის მაინც ისევ მტკიცედ ეკიდა ტოტის ბოლოზე და ისევ ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა“.

მიუხედავად ყველაფრისა სიყვარულით სავსე გული მაინც ამაყად იდგა და ელოდებოდა, მას ვისი ნახვის სურვილიც ძალას აძლევდა. მის გარშემომყოფებს, მათ ვისაც არასდროს განეცადა ეს ღვთიური გრძნობა. ვერც კი გაეგოთ ფოთლის ამგვარი ქცევა. განსაკუთრებით კი მაჩვს, რომელიც მხოლოდ მიწისა და ხორცის კაცია და სიყვარული სრულიაად უსარგებლო გრძნობად მიაჩნია ბუზღუნებდა: „ნეტავ ვის ელის ტუტუცი, არ ურჩევნია, თავისიანების გვერდით იყოსო“.

მიუხედავად მრავალი წინაღობისა, ფოთოლი მაინც ელოდა სასწაულის ხილვას და იხილა კიდეც ის, ვისაც ამდენ ხანს ელოდა. ბუნება კი თითქოს დადუმებულიყო ამ დიდებული გრძნობის წინაშე. თვით ბებერი მუხაც კი,

რომელიც ჟამთა სიმრაველმაც ვერ მოდრიკა, ატირებულიყო: „კვირტების უბეები ნელ-ნელა ივსებოდა წვეთებით. ეს წვეთები იყო მისი ცრემლები“.

მაინც როგორია ადამიანი? ეს ერთი შეხედვით მარტივი კითხვა ვფიქრობ, საკმაოდ რთულია... ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მწერლის რწმენა სიყვარულთან და ადამიანურობასთან მიმართებაში ბრმა არაა, მას ხშირად საპირისპირო აზრებიც ებადება და აწვალებს. რა თქმა უნდა არსებობენ ადამიანები, ვისაც სიყვარული დაბადებიდანვე დაენათლა. მაგრამ არსებობენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს გრძნობა თითქოსდა არც არსებულა.

ვკითხულობ მწერლის სამაგიდო ჩანაწერებს და თითოეული მათგანი მიტაცებს, მაფიქრებს, მაოცნებებს... მოთხრობაში „არწივი“ მწერალმა დაგვანახა ადამიანი, რომელიც თითქოს ყველას მიეტოვებინა, არავინ ჰყავდა გვერდით ისეთი, სიბერის ჟამს დარდს რომ შეუმსუბუქებდა. ამ დროს გამოჩნდა არწივი მშვიდი, დაუძაბავი და სივრცის შემტკბობი. არწივი სწორედ ის იმედი იყო მისთვის, ცხოვრებაში ასე ძალიან რომ აკლდა. განა ბევრს ითხოვდა? მხოლოდ სიმშვიდე და სიყვარული უნდოდა. მაგრამ მაინც როგორი ხარ ადამიანო? რამდენად სასტიკი შეიძლება იყო.. „ზედიზედ ჭექა ავარდა მისკენ, უცებ შეწყვიტა წინსვლა, გადაბრუნდა ჰაერში და ჩვარივით ტრიალ-ტრიალით წამოვიდა ძირს“.

მოთხრობაში მეორე მხვრივ მწეალი გვანახებს ადამიანის სახეს, რომელიც შეპყრობილია სენით, იყოს სხვებზე წინ, რომლისთვისაც უცნობია სიტყვა თანაგრძნობა და კითხვაზე რატომ მოკალი ძერა?! პასუხობს: „ვერ ვიტან, ვინმე რომ დამპარპაშებს თავზე, თვითონ ღმერთიც რომ იყოს! „მაშინ გაახსენდა საბრალო მოხუცს, რომ ეს ის ადამიანია, გუშინ ბაზარზე ყველაზე დიდ საზამთროს რომ ეძებდა, ის კაცია ამას წინათ რომ ჩამოყვა თბილისიდან და ვერ იტანდა გზად ვინმე თუ გაუსწრებდა, ის კაცია რომლის მეუღლესაც ყველაზე მაღლა აუწევია თავი...

იდეალურად გვიხატავს ავტორი რწმენადაცლილი ადამიანის სურათს მოთხრობაში „ლოცვა“. ეს არის ამბოხი რევაზ ინანიშვილისა საბჭოთა ძალადობაზე, რომელმაც ადამიანებში ჩაკლა რწმენა, თუმცა ბოლომდე ვერა. ძალიან ღრმად მიძინებულ რწმენას გაეღვიძა იმიტომ, რომ გიორგის ყველაზე მეტად სჭირდებოდა უფალი: „საიდანღაც ზარის რეკვა მოესმა. იცოდა, რომ შვიდი საათი იყო და მოსკოვში კრემლის კურატები რეკავდნენ. მაგრამ მაინც წამოიწია, წამოჯდა, მერე მუხლებზეც დადგა და თავის სიცოცხლეში პირველად გადაიწერა პირჯვარი. თანაც მთელი გულმხურვალებით ამბობდა: „- შემიწყალე, უფალო, შემიწყალე!“

გიორგი მიხვდა, რომ განწირული იყო. იგი თითქმის არაფერს ამბობს მეუღლეზე, რომელთანაც კარგად იგრძნობა სულიერი სიახლოვე რომ არ ჰქონდა: „ცივმა ოფლმა დაასხა, დაუძლურდა, მომჩვარდა. რას ნიშნავდა ეს ყოველივე, რამ დაასიზმრა? ვინ აუხსნიდა, ვინ განუმარტავდა, ვინ დაამშვიდებდა?!“ გიორგის არ ეგულებოდა გვედით ისეთი ადამიანი, ვისაც გულს გადაუშლიდა. ერთადერთი ყველაზე ახლობელი, ის ვისაც არასდროს მიუტოვებია, მიუხედავად მისდამი სიცივისა, ახლაც გიორგის გვერდით უფალია...

იქ, სადაც გიორგი ცხოვრობდა, იგრძნობოდა ნაცრისფერი რეალობა, თითქოსდა ურწმუნოების მორევში იყო ჩაფლული. ფერებიც კი რუსული იყო - ცივი და არაფრისმთქმელი: „გიორგის გაეღვიძა. ნაცრისფრად გათენებულიყო“. ამ ყველაფერს ემატებოდა სამშობლოსგან შორს ყოფნა და იმ საყვარელი ადამიანები მონატრება, რომლებიც შორეულ წარსულში დაეტოვებინა. ავტორი გვიხატავს ჩვეულებრივ სურათს იმ ეპოქისას, რომელსიც მამაკაცები მიდიოდნენ რუსეთში, ქმნიდნენ ოჯახებს და უკან არ ბრუნდებოდნენ. სწორე ერთ-ერთი მათგანი იყო გიორგიც...

მწერალი მარგალიტებს ადარებს გიორგის საყვარელ ადამიანებს. მარგალიტი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და ხშირად უკავშირდება ცრემლსაც. იგი უძლიერესი ემოციებისგან ჩნდება, რომელსაც მუხტი შიგნიდან გარეთ გამოაქვს.

ცრემლთა დენა უძლიერეს განტვირთვას, განსპეტაკებას უკავშირდება, რომელიც გვეხმარება შინაგანი წონასწორობის აღდგენაში. ქრისტიანობაში ცრემლი უდიდესი მადლია, ვინც ცრემლით ლოცულობს და ცრემლები სინანულითაა გაჯერებული, უდიდეს სათნოებას წარმოშობს. მარგალიტი ამ სათნოებას განასახიერებს.

სიზმარში გიორგიმ მისი საყვარელი ადამიანები ნახა, რომლებიც დიდი ხანია დაევიწყებინა. მისი სიზმარი კი პროტესტია არსებული რეალობისა. „სიზმარი“, რამაც აიძულა სადღაც მიმალული „მე“ გამოეფხიზლებინა. და, მუხლებზე დამდგარი მხურვალედ ვედრებოდა უფალს.

„ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე შექმნილი მოთხრობაა. რევაზ ინანიშვილი შესავლიდანვე გვამზადებს რაღაც განსაკუთრებულის მოსასმენად და ვიტგენშტეინის სახით ღირსეულ პერსონაჟთან შესახვედრად. დახასიათებიდანვე ჩანს, იგი რამდენად მაღალი ფასეულებებისა და სულიერი ღირებულებების მქონე პიროვნებაა: „რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟიშვილი“ (ინანიშვილი, 2010:166). ვიტგენშტეინი დახვეწილი კულტურის მქონე ადამიანი გახლავთ. ამაღლებული ღირსებების მქონე პიროვნებაა: „ვერ იტანდა ძალიან მოძრავთ, ხმაურიან-ვერც კაცებს, მით უფრო სამხედროებს, და ვერც ქალებს, რანაირი მომხიბვლელიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი“(რვაზ ინანიშვილი 2010:167).

მოთხრობაში მწერალი მეორე მხრივ გვიხატავს გენერალს, რომელსაც ერთი შეხედვითაც ადვილად შევატყობთ „ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა სამოქალაქო ცხოვრებაშიც რომ გადმოჰქონდათ.“

რევაზ ინანიშვილს სურს, თანამედროვე საზოგადოებას შეახსენოს ფასეული ღირებულებები. ავტორს კლავს წყურვილი იმისა, რომ კაცობრიობა გახადოს დღევანდელზე მცირედ მაინც უკეთესი.

მწერალი მოთხრობაში გვიხატავს ქართველი დედის სახეს, რომელიც შვილის (ვიტგენშტეინის) ამგვარი ხასიათის შემოქმედია. სწორედ მან ჩამოუყალიბა შვილს ქართველი კაცის ღირსება, ხასიათი, შეაყვარა ქართული მიწა, თავის კუთხე. მისივე შთაგონებით, ვიტგენშტეინისათვია ფასეული გახადა ქალი და მისდამი პატივისცემა (მიუხედავად მისი წარმომავლობისა).

ვიტგენშტეინი ერთ-ერთი იმათგანანია, უცხოეთში წასვლით რომ დავიწყებია ქართული ენა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ცდილობს არ შეიმჩნიოს: „იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც. აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები. მათთან, ნათესავებთან, თავი ისე ეჭირა, როგორც ზრდილ მეგრელ ყმაწვილს შეჰფერის“(ინანიშვილი, 2010:166)

ვიტგენსტეინის ღირებულებების მქონე ადამიანს არ შეეძლო მოეთმინა გენერლის უღირსი საქციელი ქალისადმი, მაგრამ არც გენერლის შეურაცხყოფა. სურდა ქალის წინაშე. სწორედ ამიტომაც მხოლოდ განმარტოებით მდგომ გენერალს მისცა შენიშვნა:

„- მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენს გვერდით.

გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო.

- მამაკაცი? - გაეღიმა დაბნეულს.

ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა.“

გაიმართა მათ შორის დუელი, რამაც იმსხვერპლა ვიტგენშტეინი, მაგრამ კაცის მთავარი საზომი ღირსებაა. ვიტგენსტეინის კი შელახული ღირსებით სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია. როგორც გენიალური შოთა რუსთაველი ამბობს: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

როგორც მკვლევარი ლალი დათაშვილი ამბობს: „კაენმა მოკლა აბელი, ძმებმა გაყიდეს იაკობი, გაწირეს იოსები, ქარაფიდან გადააგდეს იგი, მოკვეთეს

ალუდა, სიკვდილი სანატრელი გაუხადეს ჯოყოლასა და აღაზას... შური ანადგურებს ადამიანს თავისზე უკეთესს ძმასა თუ თანამოძმეს, აბნელებინებს და ცოდვებით ავსებინებს დედამიწას. ვიტგენშტეინი ყველა მათგანის სიმბოლიური გამოხატულებაა, სწორედ მათ ადგათ უსამართლოდ დასჯილი ყველაზე დიდი მსხვერპლის-ჯვარცმული მაცხოვრის ნათელი“...

როგორც მწერალი ამბობს ეს მოთხრობა თავის გაზრდილ შვილს წაუკითხა, ვისგანაც ელოდა მთავარ ემოციას და აღფრთოვანებას, მაგრამ გულდაწყვეტილი რეზო ინანიშვილი გვეუბნება: „მეგონა თვალები გაბრწყინებული ექნებოდა აღტაცებით. მან კი შეეჭვებულმა მკითხა: „- ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა? ეგ იყო და ეგ“.

ამიტომაცაა, რომ გვიჭირს დავაფასოთ ვიტგენშტეინისთანა ღირსეული ადამიანები და გვეამაყებოდეს მათი არსებობა... თანამედროვე საზოგადოება არათუ აფასებს მათ, ვფიქრობ, საერთოდ დაცლილია ამგვარი ადამიანებისგან. მწერალს ძალიან უნდა, მკითხველს დაინახოს ის ცეცხლი, რომელიც საკუთარ შვილში ვერ დაინახა. თუნდაც ძალიან ცოტა იყოს ასეთი, ოღონდაც იყოს მკითხველი, რომელიც ჩაწვდება ღრმად მოთხრობის არსს.

მოთხრობაში „ტყის შვილები“ ავტორი გვიხატავს სიყვარულით სავსე, ტყეში მცხოვრებ ერთ დიდ ოჯახს. ისინი გამოირჩევიან ერთმანეთზე განსაკუთრებული ზრუნვით. ტყის ბინადარნი ცდილობენ მონადირის დანახვისთანავე ერთმანეთის გადარჩენას (ცოტა ფრთხილად იყავით მონადირე მოდის).

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს დედაშვილობის სურათს. როგორ მიმართავენ დასახმარებლად დათვ აშლაპუნეს, რადგან იგი სახელოვანი თევდორეს შვილია, რომელიც არაერთხელ გამხდარა ტყის მაცხოვრებელთა მხსნელი. არც აშლაპუნე დათვს გაუცრუებია მათთვის იმედი და იხსნა ტყის შვილები გასაჭირისგან, შემდეგ კი, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, ქებას თავი აარიდა და წავიდა ვითომ

არაფერიო. მაგრამ ფრინველები მას ემადლიერებოდნენ: „გახარებული ფრინველები დიდხანს მისდევდნენ და აქებდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ. დათვი ხანდახან თუ შეჩერდებოდა, ახედავდა ფრინველებს, გამოაჩენდა თავის თეთრ კბილებს, გაუღიმებდა კეთილად და მერე თავის ქნევით, თათების ლარტყალურტყით მიდიოდა მიძუნძულებდა...“ (ინანიშვილი, 2010:149)

რევაზ ინანიშვილი თავს მებაღეს უწოდებდა, ხოლო მკითხველს თავისი ბაღის სტუმრებს. იგი თავის ბაღში საუკეთესო ყვავილებს კრეფდა, ერთ თაიგულად კონავდა და დაბლა მდგარი, მაღალზე მდგომთ აწვდიდა. მათი სურნელობა კი ყოველთვის გვახსენებს მწერალს.

ადამიანი სწორედ მაშინ არის ძლიერი, როცა არის წმინდა და ხალისიანი. ხოლო როგორც კი მის გულს ბოღმა მოედება, იგი მაშინვე უძლურდება. რევაზ ინანიშვილის გმირები კი სიწმინდითა და ხალისით არიან სავსენი.

„რევაზ ინანიშვილის სამყაროში ადამიანები „ლამაზი ცრემლებით“ ტირიან, მოსახდელ ადამიანურ ვალს სიკვდილის ბრჭყალებშიც კი არ ივიწყებენ. ზოგს ღამე უყვარს, ზოგი ჩიტბატონების გამოზამთრებაზეე ფიქრობს. დადიან სიკეთის სიყვარულით სავსე ადამიანები სოფლებსა და ქალაქებში და ნათლად ცხადყოფენ სიცოცხლის მშვენიერებას“(შოთაძე, 2009:112).

რევაზ ინანიშვილი სიყვარულს განიხილავს, როგორც ამაღლებულ გრძნობას. მის მოთხრობაში „გოგონა, ღამე რომ შეუყვარდა“, მწერალი გვიხატავს საოცარ პერსონაჟს, რომელიც ნამდვილად არის დაჯილდოებული სიყვარულის დიდებული გრძნობით. დიახ, მას ღამე შეუყვარდა თავისი იდუმალებითა და საოცარი სილამაზით. თუმცაღა იგი ბუნების სურათს ღამით სულ სხვანაირად აღიქვამდა, ვიდრე სხვები. მთელი გულით გრძნობდა ბუნების ბინადართ, და თითქოსდა მათი სუნთქვაც კი ესმოდა „გოგონა ხედავდა, რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიალებს, ყუნწებში უღიტინებს და ფოთლები ხტიან, ხითხითებენ, ლამის გული წაუვიდეთ

ხითხითისგან; ის ხედავდა რომ ხე უბრალოდ კი არ ჰყვავის, ყოველი კვირტი თითო ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშვნეტს, იზმორება და- ტკაც!- ღიმილით უბრწყინდება სახე (ინანიშვილი, 2012:52).

გოგონას არასდროს ენახა ღამის მშვენიერება, რადგან ქალაქში დაღამებისთანავე ანთებდნენ ელექტრო ნათურებს. ერთხელ, როდესაც აგარაკზე წავიდნენ, მან ნახა იდუმალი ღამე და შეუყვარდა, ძალიან შეუყვარდა იგი...

„აგარაკზე ყველას უნდოდა გაეგო, რატომ წავიდა გოგონა ტყეში, მაგრამ გოგონა არაფერს ამბობდა; დიდი, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და არაფერს ამბობდა. იცოდა, თუნდაც ეთქვა რისთვისაც წავიდა ტყეში და რაც ნახა იქ, მაინც არ დაუჯერებდნენ“ (ინანიშვილი, 2012:59).

რეზო ინანიშვილს ხატვაც ძალიან უყვარდა. გამუდმებით ხატავდა ყველგან. ეს იქნებოდა სამსახური, თათბირი თუ სხდომა. ხატავდა პეიზაჟებს, ხეებს, საკუთარი მოთხრობის გმირებს. მწერალს მუსიკაც ძალიან უყვარდა. განსაკუთრებით - სიმფონიათა ნელი ნაწილი. მუშაობის დროს მათ რაღაცნაირ აკომპანიმენტად განვიცდიო. მუსიკოსებისგან ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, ნოველისტებისთვის - განსაკუთრებით შოპენისგანო.

მას ჰქონდა ღვთაებრივი ნიჭი სულ ერთწინადადებიან მინიატურაში პერსონაჟის მთელი ცხოვრება ჩაეტია. აი ერთ-ერთი მათგანიც „სამაგიდო რვეულებიდან“: „ნინა ძალოს ნაამბობი: მარტო ჩემი მზითვის თეთრეული რომ დააწყვეს, ამათი სტოლი, ამ საცოდავებისა, წაიქცა“.

განსაკუთრებულია მეგობრების შეფასებები რეზოს შემოქმედებისა და გვსურს რამოდენიმე მათგანზე ვისაუბროთ.

„უყვარდა ყველაფერ, რაზეც წერდა, ვიზეც წერდა ვისთვისაც წერდა“ (ვახუშტი კოტეტიშვილი);

„ჩვენში ქართველმა, უწიგნურიც რომ იყოს, რეზო ინანიშვილი უნდა იცოდეს, რადგან მის ნაწარმოებებში ამოიკითხავს ქართული სიტყვის დიდოსტატობასაც, იმ ტკივილსაც და ღიმილსაც, რაც რეზომ იცოდა,მისმა შემოქმედებამ იცის და სხვამ არავინ“(ოტია იოსელიანი).

„ბევრი დიდი მწერლისაგან განსხვავებით, რევაზ ინანიშვილის ამბავი და ამბის განვითარება როდია მთავარი, არამედ რაღაც სხვა, იდუმალი და მოუხელთებელი. ასეთ შემოქმედებაზე ამბობენ, რასაც მისი ხელი შეეხება ყველაფერი ოქროდ იქცევაო“(ლევან ბრეგაძე).

აკაკი ბაქრაძემ კი ინანიშვილის მოთხრობებს „სულის პური“ უწოდა მისი: „სამყარო სუფთა, კრიალა, მზით გაბრწყინებული სამყაროა, დასახლებული კეთილი, მშრომელი, ურთიერთმოყვარული ადამიანებით“.

ყოველი მათგანი საუბრობს რეზოს უბადლო ნიჭსა და სულის მშვენიერებაზე. იმაზე, რომ ასეთი ღვთაებრივი შემოქმედების ავტორი თავადაა სულიერად ამაღლებული, ღირსეული. ღრმად ჰუმანური ადამიანი.

როგორც თავად ამბობს: „...და მაინც-მწერალი უნდა უფრო წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამთანი ათასგვარი ჭირ-ვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეციებულთ, აწყნარებდეს, მიწისკენ ეწეოდეს აღზევებულთ, აპარპაშებულთ“(ინანიშვილი, 2010:5).

სწორედ, ასეთი გახლდათ თავად მწერალიც. ათასგვარი უბედურების გადამტანსა და ამტანს, წუთითაც რომ არ გაჰკარებია სიძულვილი და მუდამ გვიმღეროდა სიყვარულის ძალაზე.

მისი კიდევ ერთი მშვენიერი მოთხრობა „ევაც“ სწორედ სიყვარულის მოტივზეა შექმნილი. ნოველის პერსონაჟი ევა გახლდათ ლამაზი, მეოცნებე,

სოფლელი გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა ხეები, თავისი ლამაზი სოფელი და „ცაზე ბადესავით გახლართულ ტოტებში გაფენილი მთვარე“...

ევა სხვებს არ ჰგავს, იგი ძალიან სუფთა და გულწრფელია. ღრმად სწამს სიყვარულის იდუმალი ძალის. გოგონა სხვებისგან განსხვავებულად გრძნობს თავს, აღიქვამს ყოველივეს და საკმარისია გადაეშვას გრძნობათა მორევში, სახიდან ღიმილი გაუქრეს, რომ ყველა ერთი და იმავეს ეკითხება „ცუდადაა“, რადგან მათნაირი არ არის.

მეორე მხვრივ, მოთხრობაში ვხვდებით „აბელს“, რომელიც სიყვარულს აღიქვამს ტვირთად და ცხოვრებისეულ საგზლად. ტვირთად იმიტომ, რომ ევა ლამაზია და ასეთ ცოლს მეტი ყურადღება დასჭირდება, საგზლად იმიტომ, რომ არაერთხელ გაიხარებს ასეთი მეუღლის ალერსით: „მას ტვირთად ევას თვალებიც საკმაოდ მძიმეედ ეჩვენებოდა, ხოლო საგზლად... ის უკვე მის სიჯანსაღეს და სიმკვრივესაც იმყოფინებდა!“(ინანიშვილი, 2010:230).

აბელი, რომელსაც არაერთი ქალი ენახა, ამ სოფლელ გოგონაში ბავშვურ სიწმინდესა და სისპეტაკეს აფასებდა, რაც ასე გამოარჩევდა მას სხვებისაგან.

„ევას პირველყოფილი სიწმინდით გამოშუქებულ თვალებში“ ბიბლიურ, უმანკო ევას ხედავდა.

ევა იმდენად სპეტაკია, არ სურდა სატრფოს მოტყუება და გულწრფელად უამბო აბელს შემთხვევით კოცნათა ამბავი. აბელისგან განსხვავებით, რომელსაც ბრმად სწამს სიცრუის სიკეთისა: „უნდა იცრუო, რაც შეიძლება უნაკლოდ უნდა იცრუო, თვითონ იმ ქალის სასიკეთოდ...“(ინანიშვილი:2010:230)

მკითხველი ნათლად გრძნობს, როგორ ემზადება ევა იმისთვის, რომ აბელს სიმართლე უთხრას და გულიდან ლოდი მოიშოროს: „აბელმა შეატყო, ევას მეტი ძალა აღარ ჰქონდა, მისი უთუოდ დიდხანს ნამზადევი სცენა დამთავრდა“ (ინანიშვილი, 2010:230).

სიმართლის მოსმენისთანავე იცვლება აბელი, ევას ეს სიმართლე გამანადგურებლად მოქმედებს მასზე და აღარც წმინდა სოფლელი გოგონა აღარაა ევა მის თვალში: „აბელს ჟრუანტელმა გაუარა ფეხებში, საოცარი სიცხადით იგრძნო, რა გემოც ჰქონდა ევას ტუჩებს, და დაჯდა, პირდაპირ კლდის კიდეზე დაჯდა“(ინანიშვილი, 2010: 227).

ვფიქრობ, მწერალს შემთხვევით როდი აქვს შერჩეული პერსონაჟთათვის ბიბლიური სახელები. სიყვარულიც ხომ სამყაროსავით ასეულ საუკუნეს ითვლის... „ევა“ ნიშნავს „ცხოვრებას“, ხოლო „აბელი“-„მსწრაფლწარმავალს“. იესო ქრისტე კი მას მართალს უწოდებს და სიმართლისათვის შეწირულ მსხვერპლადვე თვლის (მათე 23,35). ევა და აბელი ლაპარაკობენ „ყველაზე ნათელ, ნათელ ადგილას“, თუმც არა ეს ნათელი ევას აღსარებისთანავე იცვლება აბელისათვის და იგი ხდება ბნელი... იქნებ ჯობდა კიდეც მარადიულ ბნელში დარჩენილიყო ევას ამბორთა ამბავი...

რევაზ ინანიშვილი განსაკუთრებით წერდა ქალზე. წერდა დიდი სიყვარულით და სწორედ ამიტომაცაა, რომ მისი ქალი პერსონაჟების პალიტრა იმდენად მრავალფეროვანია, დიდი სამეცნიერო შრომაც ვერ დაიტევს.

მწერალი საუბრობს დედებზე, რომელთაც მთელი გულითა და გრძნობით უყვართ შვილები. მიუხედავად მათი ზრდასრული ასაკისა, მაინც ფარივით უდგანან წინ და საჭირო დროს, მათთვის თვალის დაუხამხამებლად გაწირავენ თავს. მოხუცები დაკოჟრილი ხელებით, სპეტაკი სულით, დანაოჭებული სახითა და წმინდა თვალებით...

მწერალი თავისი ნაწარმოებებით ცდილობს ადამიანის გულში სიყვარულის, სიბრალულისა და თანაგრძნობის გაღვივებას.

მოთხრობაში „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“ რეზო გვიხატავს ქალის სახეს, რომელმაც მძიმე გზა გაიარა, მაგრამ საყვედურიც კი არ დაცდენია არავის მიმართ.

ჯერ კიდევ, დაბადებისას, მეხუთე გოგო იყო და მამამისს მისი დაბადება არც გახარებია. თოთხმეტი წლისა გაათხოვეს. ჩაბურვაკებულ მენახირეს გაატანეს ბარბალე, რომელიც სიყვარულის თვალებით არა, მაგრამ შიშის თვალებით ნამდვილად უყურებდა ამ კაცს. ერთ დღესაც მუღანლოელმა ყაჩაღმა მოკლა ბალბალეს ქმარი.

შემდგომ ბარბალეს ბედმა გაუღიმა და ღირსეულ კაცს შეახვედრა. შვილებიც ეყოლა და როცა ეგონა ძალიან ბედნიერი იყო, სწორედ მაშინ დააპატიმრეს მისი ქმარი და სამუდამოდ დაკარგეს.

დიდი გაჭირვებით დაზარდა ბარბალემ შვილები. გაზრდისთანავე ქალაქში გადავიდნენ და ბარბალე ისევ მარტო დარჩა... კაკალი ჰქონდა მოსაბერტყი, მაგრამ სხვას როგორ სთხოვდა უცებ, რომ ვინმეს ეთქვა აქაო და შენმა შვილებმა მოგიბერტყონო. ამიტომაც, თავად გადაწყვიტა მოებერტყა: „მე დავბერტყავ მტერს არ გავახარებო. ორჯერ არ ჰქონდა მოქნეული ის ხალხა და წინ წავარდა. რამეს მოვეჭიდებიო გაუელვა, მაგრამ ვერაფერს მისწვდა. იგრძნო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შეძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა“.

ბარბალე ვიღაცამ დაინახა... გეგონებოდა ეძინაო.. შვილებმა კი მეორე დღეს ძლივს გაიგეს მისი გარდაცვალების ამბავი... მიუხედავად ყველაფრისა მის გულს წამითაც არ მიჰკარებია ბოღმა და შურისგება, ბოროტება ხომ არა და არ გაუვლია გულში. მას მხოლოდ სიყვარული და შრომა ასულდგმულებდა. შესანიშნავად აღნიშნავს მწერალი „მუხლებზე კაბა გაისწორა“, მიუხედავად ყველაფრისა შეინარჩუნა უნარი, გაფრთხილებოდა ქალურ ღირსებას. რეზო მას მიძინებულს

უწოდებს და არა მიცვალებულს. ასეთ სულიერ სიძლიერეს ვერაფერი დათრგუნავს, თავად სიკვდილიც კი.

მოთხრობაში ასახულია ის გაჭირვება, სადაც ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. მწერალი გვაფიქრებს ადამიანთა ხვედრზე ამ წუთისოფელში. მწერალი ასევე ეხება დედაშვილობის თემას. ქალს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა შვილებისთვის.

ბარბალე, როგორც დედა, ყველაფერს თმობს შვილებისთვის. ქმრის უბედურებით თაავზარდაცემული ქალი თავის მოკვლაზე ფიქრობს, მაგრამ მის უკან ხომ მისი შვილები იდგნენ: „ისეთ ჭკუაზე დადგა, მივალ სადმე კლდესთან და გადავიჩეხებიო. მაგრამ ბიჭი უკან მოსდევდა. მიიხედა, ნახა, რომ ბიჭიც ტიროდა, და თავი შეიკავა. ბიჭს გამხნევება დაუწყო“(რევაზ ინანიშვილი 2010:2090). არც მაშინ დაინდო ბარბალე ცხოვრებამ, როცა ერთ-ერთი შვილის დატირება მოუხდა.

ნაწარმოების ფინალი გვაგონებს ნიკო ლორთქიფანიძის სევდანარევ ფრაზებს: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“, შვილებმაც კი ბარბალე ძალიან სწრაფად დაივიწყეს,“ სახლს მძიმე კლიტეები დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩალაბულით აავსო“(ინანიშვილი, 2010:210).

შესანიშნავად დაგვიხატა ქართველი ქალისა და დედის სახე რევაზ ინანიშვილმა ასევე მოთხრობაში „დედა არწივი“.

რევაზ ინანიშვილის პერსონაჟების ძლიერების მთავარი წყაროა სიწმინდე და სიკეთე. ადამიანი მხოლოდ მაშინ უძლურდება, როცა გული ბოღმით ევსება, მწერლის გმირები კი სიყვარულითა და სიკეთით არიან სავსენი. სწორედ ასეთი კეთილი და გამორჩეულია „დედა არწივის“ პერსონაჟი მანანა, რომელიც ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და ორი შვილი მარტომ გაზარდა: „ორი შვილი ჰყავს, დედასავით მწვანეთვალებიანი ორი გოგონა - ცისანა და დალი“ (ინანიშვილი, 2012:18).

მანანა ცხოვრობდა სოფელში, რომელიც ყველას მიეტოვებინა და სულ ხუთიოდე სახლის საკვამურიდან ასდიოდა კვამლი. მართალია გვერდით მამაკაცი არ ჰყავდა, მაგრამ შრომითა და ჯაფით არავის ჩამოუვარდებოდა: „თვითონა ბარავს და თოხნის, თვითონვე სცელავს, ცელვაში ქალი ვერ აჯობებს მანანას, ცელს მოკლე-მოკლედ იქნევს, მაგრამ სწრფად და მოზომილად, ლამაზადაც კი“ (ინანიშვილი, 2012:19).

მანანას ცხოვრება ერთფეროვანი იყო და დღეებიც ერთი მეორეს მიყოლებით მიედინებოდა. მანამდის, სანამ მის ცხოვრებაში არ ჩაინიშნა ერთი ლამაზი დღე, როდესაც მის მეზობლად გიორგი დაბინავდა. სრულიად უცხო მამაკაცმა მანანას გულში ბედნიერების ნაპერწკალი გააღვივა: „ზურაბის დაღუპვის შემდეგ, სარკეს ერიდებოდა, იმ დღეს კი, რამდენჯერაც გარეთ გავიდა, იმდენჯერ ჩაიხედა და შავი, ფუნჯების ზემოთ შავ ყვავილებგამწკრივებული ქიშმირის თავშალი შეისწორა“.

მწერალი გიორგის სახით გვიხატავს ნამდვილი, ღირსეული ქართველი კაცის სახეს, რომლისთვისაც ღირებული და ფასეული ყოველივე წმინდაა, მაგრამ ხშირად ასეთ ადამიანებსაც ვერ უგებენ. გიორგიც სწორედ, მის ყოველდღიურობას გაქცეოდა, რომელში ყოფნაც ერთი თვალის შევლებითაც მარტივი მისახვედრი იყო, რომ ძალიან უმძიმდა. გიორგის სიყვარული და წმინდა, ადამიანური ღირებულებები აცოცხლებს, ამიტომაც გაურბის გრძნობადაცლილ ურთიერთობებს. მან აქ, სოფლად იპოვა ადგილი, სადაც ნაკლები გაუცხოებაა ადამიანებს შორის.

მოთხრობაში „აბრიშამ“ მწერალმა დაგვანახა რადიკალურად განსხვავებული მამაკაცი. იგი განსხვავდება გიორგისნაირი ამაღლებული, ღისეული პიროვნებისგან. მისთვის ცხოვრების მთავარი საზრისი გართობა და ხორციელ ვნებებზე აყოლაა.

„აბრიშას“ მთავარ პერსონაჟს კი ცოლი მხოლოდ იმიტომ მიუტოვებია, რომ ავად არის, სნეული კი არ სჭირდება და თავს გართობის უფლებას აძლევს. მეორე

მხვრივ გიორგი, რომელიც ცოლს იმიტომ გაჰრიდებია, რომ მასთან სულიერ სიახლოვესა და სიმშვიდეს ვერ პოულობს.

გიორგისნაირი ღირებულებებით შემკული ადამიანი რთულია დაადანაშაულო ცოლის წინაშე, რაც ნამდვილად არა არის რთული აბრიშას პერსონაჟ მამაკაცთან მიმართებაში. ორივე მათგანი გაქცევია თავის ყოველდღიურობას, მაგრამ სწორედ ამ გაქცევაშია დიდი განსხვავება, ერთი სულის სიმშვიდეს დაეძებს მეორე კი, ხორციელ ვნებებს...

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები სავსეა სხვადასხვა სახის პერსონაჟით. მასთან ვხვდებით სიყვარულით სავსე ადამიანებსა თუ რწმენადაცლილებს, ბოღმაში ჩამხრჩვალებს. მისი მოთხრობები ერთი დიდი მოგზაურობაა, რომელიც ფეხის შედგმისთანავე გიტაცებს და რთულია თავი დააღწიო მათ, უფრო და უფრო მეტი პერსონაჟის გაცნობის სურვილი გკლავს.

მოთხრობაში „მთვარის ასული“ ვხვდებით მარტოსული ქალის სახეს, რომელიც ვერ ეგუება ვერანაირ სიყალბეს, ძალადობასა და უსამართლობას, ამიტომაც გაურბის ყველასა და ყველაფერს. თუნდაც ერთი პატარა დეტალი ავიღოთ, ტელევიზორის ყურებისასაც კი, იგი გაურბის ძალადობის შემცველ ინფორმაციას.

მოთხრობის სათაურიც ერთობ საინტერესოა „მთვარის ასული“, მთვარე ხომ ენათესავება სრულიად მარტოობისთვის განწირულ ადამიანებს. მთვარე, „ღამის დედოფალი“ - ყველაზე პოეტური და ღრმა ფილოსოფიური შინაარსის არქაული სიმბოლო. არ ათბობს, მაგრამ ანათებს და დედამიწასთან უფრო ახლო კონტაქტში იმყოფება, ვიდრე რომელიმე სხვა ციური სხეული.

პოეტი მოთხრობაში სათუთად აღწერს ქალის გარეგნობასა და სილამაზეს, მის ყოველდღიურობიდან - ერთ ჩვეულებრივ დღეს, რომელიც თითქოს დაცლილია და ელოდება სიყვარულით სავსე დღეებს...

მოთხრობაში „ჩემი მეგობარი“. ნოველის გმირი სოფლის უბრალო ადამიანია, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი ცოლ-შვილი. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი გლეხკაცია: „წვერგაუპარსავი, გახუნებული ქურთუკი და დაბრეცილი ჩექმები აცვია, მიდის და მიაბოლებს, ხელმარცხვნივ ტყიანი გორაა, ხემარჯვნივაც ერთსაც ბურუსი დასწოლია ზემოდან, მეორესაც. არავის არ აფიქრებს ამ ბურუსს იქეთ რაა“... ამ კაცს ნამდვილად არ აინტერესებს ბურუსის იქეთ არსებული სამყარო, მას გააჩნია საკუთარი სამყარო. სოფელი - სადაც იგი ცხოვრობს, ოჯახი, რომელიც ყველასა და ყველაფერს ურჩევნია, მეგობრები, რომლებიც ძალიან უყვარს და თვით ხარებიც კი ძალიან ძვირფასია მისთვის. ეს არის მისი სამყარო და იქ არსებული იდილია სრულიად აბედნიერებს მას. მატერიალურად თითქმის არაფერი ძვირფასი არ გააჩნია, მაგრამ ჰყავს უძვირფასესი ოჯახი, რომელიც უდიდეს სიამაყეს ანიჭებს, ჰყავს ცრემლითა და ფიქრით სავსე პატარა თბილი ოჯახი.

თავი III. მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

მორალური მართლმსაჯულების ფენომენი მრავალმნიშვნელოვანია. მისი არსი განისაზღვრება პიროვნების არჩევანით. პიროვნება მორალური მართლმსაჯულების სისტემაში მთავარი ფიგურაა. ოდითგანვე ადამიანური საზოგადოება ყალიბდებოდა

და ვითარდებოდა ტრადიციების, ჩვევების, დაწერილი თუ დაუწერელი წეს-კანონების მიხედვით. ადამიანი მორალური არსებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი, უპირველესად, იმ უზენაეს ზნეობრივ კანონებს ემორჩილება, რომლებსაც მას სინდისი კარნახობს.

რაც უფრო მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მატარებელია ადამნიანი, მით უფრო მდიდარია მისი სული სიყვარულით, სიკეთით, სითბოთი და პატიოსნებით. რევაზ ინანიშვილსაც სწორედ ეს უნდოდა, რომ საზოგადოებაში ადამიანური ღირებულებები არ გაუფასურებულიყო.

უდავოა, რომ ადამიანები სიყვარულს ვსაჭიროებთ და მის გარეშე ვერ ვიქნებით ბედნიერები. როგორც ბიბლია გვასწავლის: „შეიმოსეთ სიყვარულით, რადგან ის გამაერთიანებელი სრულყოფილი კავშირია“ (კოლოსელები, 3:14),

ადამიანი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეს, რადგან ადრე თუ გვიან მოვკვდებით და მომავალ თაობას მხოლოდ ის ემახსოვრება როგორ ვიცხოვრეთ და არა ის თუ რამდენი ვიცხოვრეთ. სენეკა ამბობდა: „მოკლე სიცოცხლე კი არ მოგვენიჭა, მას ჩვენ ვაკნინებთ, უზოგველი ვართ და არა ღატაკი უპოვარნი, უზარმაზარი და მეფური ქონება უგუნური პატრონის ხელში უმალ გაიფანტება, მცირედ დავლას კი მომჭირნე კაცი გააასკეცებს. წუთისოფელიც ასეა-გონიერ მოკვდავს ბევრს სთავაზობს“ (56:26).

სწორედ, ასეთი მაღალი პიროვნული პასუხისმგებლობის განცდა ჩქეფს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. მისი პერსონაჟები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ მაღალი პიროვნული პასუხისმგებლობით შემკილნი, რომელთაც უყურებ და გინდა შენც მათსავით ღირსეული ადამიანი იყო.

მოთხრობაში „შავი ალაყაფი“ მწერალმა დაგვანახა ადამიანის სახე, ვისაც სიკვდილთან მიახლოებამ უამრავი კითხვა გაუჩინა და დააფიქრა ყველაფერზე, განსაკუთრებულად კი საკუთარ თავზე, საკუთარ მეზე, იმაზე თუ როგორ განვლო

ცხოვრების გზა. მოახლოებულმა განსაცდელმა ყველაფერი სხვანაირად დაანახა: „კმაყოფილი იყო, რომ ის თუ წავიდოდა, იმ ხალხიდან თითქმის არავინ დარჩებოდა უმწეოდ. მათი მაღალი სახლები რკინა-ბეტონისგან იყო აგებული, შიგ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა წმიდა წყალი და სასიამოვნო სითბო, დიდი, ფართო ფანჯრები მთელი ძალით ისრუტავდნენ მზის მაცოცხლებელ სხივებს.“ ერთი შეხედვით ეს ფიქრები დადებითია, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ მისი წასვლით „არავინ რჩებოდა უმწეოდ“, ირაკლი არავის დააკლდება....

მაგრამ იგი დააკლდება თავის ოჯახს, თავის გოგონებს. რას დაუტოვებს იგი სახსოვრად მათ, რითი მოიგონებენ ირაკლის და იწყებს ოცნებას, რომ გააკეთოს რამე ისეთი, რითიც იამაყებს მისი შთამომავლობა, მაგრამ ყოველივე უკვე დაგვიანებულია, რამეთუ ადამიანს აქვს მთელი ცხოვრება საიმისოდ, თავის არსებობას სახელი, რომ დაარქვას. რაიმეს საამაყოს ანდა სამარცხვინოს იგი მთელი თავსი ცხოვრება ქმნის და არა რამოდენიმე დღეში...

სიკვდილს წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება, ამიტომაცაა, რომ ადამიანმა ისე უნდა იცხოროს უკან მოხედვისას განვლილი ცხოვრების არ შერცხვეს და ოცნებად არ დაურჩეს საგმირო საქმეები...საგმირო თუ არა ადამიანი ისეთი მაინც უნდა იყოს სუფთა სინდისით, ალალ- მართალი წავიდეს წუთისოფლიდან. ქრისტიანობა ოდითგანვე ითვლება უძველეს წიგნიერ რელიგიად. მოციქულთა და წინასწარმეტყველთა ტექსტები ჩვენს აზროვნებას მუდამ ასაზრდოებდა, განსაზღვრავდა ქართველი ხალხის ძირითად ღირებულებებს და, რაც მთავარია, აისახებოდა მწერლობაში. სასულიერო მწერლობით საზრდოობდა შემდეგ საერო ლიტერატურა.

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისთვის და ჩვენც არაერთხელ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ჭეშმარიტ რელიგიად გამოვაცხადეთ და მის დასაცავად, ვინ იცის რამდენი სისხლი დავღვარეთ. შეუძლებელი კი შესაძლებელი წმინდა რელიგიამ გახადა (ჭავჭავაძე, 1987:175).

ქართველი ერი რომ ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ერია ეს უდავოა. ყოველივეს კი უპირველესად ცხადჰყოფს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ქრისტიანული მოტივი ასევე ნათლად ვლინდება წმინდა მამათა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებში. გიორგი მთაწმინდელის აზრით, რომელიც იცნობდა მსოფლიო ქრისტიანობის ყველა მიმართულებას, ამბობდა, რომ ქართული ეკლესია მსოფლიოს ეკლესიათა შორის არის ყველაზე ჭეშმარიტი.

ქართველი ერისათვის უმთავრესია ქრისტიანული ღირებულებები, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისთვის თავგანწირვა და მარტვილობა.

საქართველოს სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის იდგა საფრთხის წინაშე. ქართველები კი მუდამ იბრძოდნენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცავად.

მსოფლიოს სხვა რელიგიათაგან განსხვავებით, ქრისტიანული სარწმუნოება მოიცავს მოკვდავის უფალთან მიმსგავსების შესაძლებლობას. ქრისტიანობის ერთერთი მიზანია ადამიანის რაობის დადგენა და სულიერი მშვენიერების გაიდეალება. ანალოგიური მიზანსწრაფვა ახასიათებს ქართულ მხატვრულ ლიტერატურას არსებობის ყველა პერიოდში, რომლის მიზანია, ემსახუროს მაღალ ზნეობრივ იდეალებს. ზნეობა თავისუფალი ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირებულებაა, რომელიც ფორმირდება პირადი მოსაზრებების ხელშეწყობით.

როცა ზნეობრივ პრობლემებს განვიხილავთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებზე დაყრდნობით, უპირველესად უნდა აღინიშნოს მისთვის დამახასიათებელი უმთავრესი კანონზომიერება - მის შემოქმედებაში ყველაზე უკეთ სიცოცხლის ხიბლი იგრძნობა. მწერლის გმირები მუდამ სიკეთის ძიებაში არიან. მის

მოთხრობებში ზნეობა და ღირსება გახლავთ ადამიანის არსებობის მთავარი საფუძველი.

მწერალი ყოველთვის ახერხებდა წონასწორობის, ფაქიზი ადამიანური სიმშვიდის შენარჩუნებას, რომლის მიღმაც ადამიანური ვნებები და მწუხარება იმალებოდა. იგი გახლდათ სიყვარულით სავსე, უფალი კი სხვა რაა, თუ არა სიყვარული. რევაზ ინანიშვილი გახლდათ უფლის დიდი მოყვარული. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია მწერლის მოღვაწეობის პერიოდში მკაცრად იკრძალებოდა და იდევნებოდა, საბჭოთა დიქტატურამ მამა-პაპათა სარწმუნოებას ვერაფერი დააკლო, პირიქით, უღმერთობამ ღვთისადმი სიყვარული გაუსამმაგა.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედება გაჯერებულია სიმშვიდით, რაღაც ძალიან იშვიათი სიმშვიდით. იგი ყველა წინააღმდეგობას იობის მსგავსი განსაცდელით, მორჩილებით, სიყვარულით ხვდება. მწერალი ერთნაირი სიყვარულით წერს გაზაფხულის მზიან დღეებსა თუ ამღვრეულ მარტზე. რევაზ ინანიშვილის „სამაგიდო ჩანაწერები“ შესანიშნავი მაგალითია მწერლის რელიგიურობისა. მისი ლიტერატურული პორტრეტები ყველაზე უკეთ სწორედ სამაგიდო რვეულებიდან იხატება.

რეზოს უფალმა უბოძა უბადლო ნიჭი, მაგრამ კარგად იცის, რომ ეს ნიჭი ბედნიერებაცაა და ამავდროულად სასჯელიც: „დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი. მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემიძლია აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთს შესკდომაც კი - მოძრაობები, ხმები, ფერები, სახეები, სუნი. უთუოდ იკითხავთ, მაშ, რატომ ავსახავ ასევე. გიპასუხებთ: არ შეიძლება, არ შეიძლება არც დადებითი, არც უარყოფითი ემოციების აღმძვრელი მოვლენების გარკვეული ზღვარს იქით ჩვენება. რატომ? ეს მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის“ (ჯოხაძე 2012:23).

რეზო ინანიშვილის შეეძლო მთელი არსებით შეეგრძნო სამყარო და იქ არსებული მოვლენები. იგი წინასწარმეტყველური გრძნობით განიცდიდა ქვეყნიერებაზე არსებულ ავსა და კარგს. განსაკუთრებული მოწიწებით ექცეოდა სამყაროს, სიცოცხლეს, ღმერთს. ერთი შეხედვით მყუდრო კაცი თითქოსდა მთელ სამყაროს იტევდა.

ნოველაში „შუშის ნამსხვრევი“ სიტყვის იშვიათი მომჭირნეობით არის გადმოცემული გმირის ულამაზესი განცდები. ჭეშმარიტად ბედნიერი მომენტები ავსებს და ალამაზებს თუნდაც ძალიან მოკლე ცხოვრების გზას.

ნოველაში ვეცნობით ფშაველს, რომელსაც სოფელში გასაყიდად ხან ერბო ჩამოჰქონდა, ხან ყველი. ერთ დღეს კი მან მაყვალი ჩამოიტანა. მისკენ ჟრიამულით გაიქცნენ ნაწარმოების გმირი გოგო-ბიჭი. ბიჭს მოულოდნელი მარცხი მოუვიდა. როდესაც ფშაველს ეხმარებოდა მაყვლით სავსე ხურჯინი ძირს დაუვარდა და მაყვალი დაიბნა. დარცხვენილი ბიჭი ადგილს გაეცალა და ამის შემდეგ იწყება ტკივილიანი განცდა, რომ ფშაველსა და გოგონას საერთო გამოუჩნდათ.

ბიჭს ძალიან უნდოდა ჰქონოდა ძალა იმისა, რომ ფშაველი ბრძოლაში გაეწვია, მისი სიკვდილი კი არ უნდოდა, არა, დამარცხებული ხილვა უნდოდა მხოლოდ.

ბიჭი გაიზარდა, დაკაცდა, მაგრამ ამ დღეს მის განვლილი ცხოვრებიდან მაინც რაღაცნაირი განსაკუთრებული ხიბლით იხსენებდა: „იმდღევანდელ ბიჭს ახლა ბევრის მცოდნე და ბევრის მნახველი მამაკაცი ჰქვია, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ყავარჯენს მოჰკიდებს ხელს, მაინც ასე ეჩვენება, რომ მის მიერ გამოვლილი უღიმღამო დღეების ფონზე მხოლოდ ის ერთი დღე ბრწყინავს მიმზიდველად... ბრწყინავს ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევივით“ (რევაზ ინანიშვილი 2012:408).

რევაზ ინანიშვილის შესანიშნავ მოთხრობაში „ანდერძი“ ერთი შეხედვით თითქოსდა უცნაური, მაგრამ ტრადიციული ამბავია მოთხრობილი რომანტიკული

და რაინდული სულიერებით გამსჭვალულ ადამიანზე. მოთხრობაში აღწერილია სოფელი და მათი ცხოვრების ყოფაც. ის მძიმე პერიოდი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ მოთხრობაში ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქ უფრო მეტად სულის ამბავია აღწერილი, ვიდრე დანარჩენი სხვა ფასეულობების.

მწერლის პერსონაჟები ჭეშმარიტი რაინდები არიან. მოთხრობაში მართალია არ არის აღწერილი ბრძოლები, მაგრამ ნაჩვენებია მათი ღრმა სულიერი სიწმინდე და ზნეობრივ-მორალური ღირებულებები. მოთხრობაში მწერალი რამდენჯერმე ახსენებს ვაჟას და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, სულიერი ღირებულებები და სამართლიანი სამყარო ხომ ვაჟასეული ბუნებაა. მისი ხსენება ამ პატარა მოთხრობაში თითქო თავიდანვე ქმნის განწყობას და გვამზადებს ამაღლებულის მოსასმენად. ავტორმა ისეთ ადამიანურ სიმაღლეზე უნდა აგვიყვანოს, ყველა რომ ვერ ეზიარება და ვერც გაიგებს.

მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს ავტორის დიდი მოწიწება და პატივისცემა: „მამაჩემის მამა, იმედათ გამიხარდი ვაჟა-ფშაველას ეძმაკაცებოდა თურმე. მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, ვაჟა შენც უნდა გახსოვდეს, რანაირად არ გახსოვს, ბალღო, ჩვენი სახლის უკან ხთისოს წიფელთან რომ ნიშანი დავსვით, ჩვენ დაწოლილები ვისროდით, მე, მამაჩემი და ჩემი დედიძმა. ვაჟამ კიდევ, ეგრევე მჯდომელამ რომ გაუშვა თოფი და აიღო ის ნიშანიო“(ინანიშვილი 2010:283).

„ანდერძში“ გადმოცემული ამბის მთავარი გმირი, გაბო გახლდათ სიკეთით აღსავსე ადამიანი, რომანტიკული და რაინდული სულისკვეთების. როცა გაბრიელმა ცოლი მოიყვანა, უფრო სწორად ის და ფოთოლაანთ ქალი მშობლების უნებართვოდ გაიპარნენ, ამას მოჰყვა დიდი ამბავი. გაბრიელის მამა, გამიხარდი ძალიან გაჯავრებულა თურმე და არც სახლის კარი გაუღია მათთვის. ასევე, გაჯავრებულა გოგოს მამაც და არც მას გაუწვდია დახმარების ხელი ახალ შეუღლებულთათვის. ეს ის შემთხვევაა, როცა აკვნიდანვე იყო გადაწყვეტილი შეუღლების ბედი და მისი დარღვევა ნამდვილად არ იყო იოლი საქმე. ამიტომაც იხსენებს მთხრობლის დედა:

„აქ, დილიჯინების ძველ სადგურში, ცარიელ-ტარიელი დავსახლდითო“ (ინანიშვილი 2010:287).

ახალბედა ცოლ-ქმარს მხოლოდ გაბრიელის დედა თუ მიაკითხავდა ჩუმად და რისი დამალვაც წინსაფრის ქვეშ შეეძლო, იმას მიუტანდა მათ.

ერთხელ თურმე ჭაკ ცხენზე ამხედრებული გაბრიელი გზად ხევსურებს გადაჰყრია. მაშინ ეს სათაკილოდ ითვლებოდა თურმე და ხევსურებმაც არ დააცალეს და ცხენი დაუწუნეს თურმე, არ იკადრა გაბრიელმა და იცრუა „ჩემი ცხენი მყავდეს, ვინ ვის ჩაჩეხავდა, ვნახავდითო!“ მაგრამ, იცრუა გაბრიელმა სად ჰყავდა ცხენი. ისიც დაამატა კვირის თავზე მეყოლება, მნახეთ და გიჩვენებთ სეირსო. ამის შემდეგ ცოლისთვის უთქვამს: „ერთი რამ უნდა გავაკეთო, იქნებ ცოტა გიჟურიც, მაგრამ თუ გიყვარვარ, შუბლი არ შეიკრაო. გასცინებია დედაჩემს,- თათრებში ხომ არ გვიპირებ გაყიდვას, შენ თუ შეგერგება, ეხლავე გამოვკრავ ბოხჩასო“ (ინანიშვილი 2010:290). გაბრიელმა არაგვისპირეთში ცხენი იყიდა, რომელშიც ყველაფერი მიუცია რაც თუ რამ ებადა.

აი ასე, ლაღად ვითარდება ვითარება მოთხრობაში. ცხადია გაბრიელი აცნობიერებს თავისი საქციელის არაორდინალურობას, მაგრამ ვაჟკაცობაზე ხელს ხომ ვერ აიღებდა. სწორედ, დათქმულ დროს მოვიდენ ხევსურებიც, რომელთაც კარგად ემჩნეოდათ რომ დარწმუნებულნი იყვნენ გამარჯვებაში. გაბრიელმა შესთავაზა: „გავალთ, შევეჯიბრებით, თუ თქვენ გამისწრებთ, თქვენ წაიყვანთ ჩემს ცხენს, რომელიც პირველი გამისწრებს, ისა. თუ გაგისწრებთ მე უნდა დამრჩეს თქვენი ორივე ცხენი, ჩამოხვალთ და წახვალთო“... (ინანიშვილი, 2010:290)

გაიმართა შეჯიბრება, რომელშიც რა თქმა უნდა გაბრიელმა გაიმარჯვა. მაგრამ, გაბრიელის ღირსება და მთელი ლაზათი ამის შემდეგ ჩანს თვალნათლივ. მან უკან მოაბრუნა ხევსურები, რომლებიც უარზე იყვნენ მათხოვრები ხომ არ ვართო, მაგრამ მაინც დასთანხმდნენ. შინ წაიყვანა ყველა, დასხდნენ და კარგადაც

იქეიფეს. უკან გაბრუნებისას კი შესვა თავთავიანთ ცხენებზე და ისე გაისტუმრა სამუდამოდ დაძმაკაცებულნი.

მთელი ეს ისტორია რაღაც ბოღმიანი ჯიბრი კი არ არის, არამედ ზნეობრივ-მორალური ამაღლების ზეიმია. როგორც გაბრიელიც მეუღლე აღნიშნავს: „იმ ღამეს ცოტა შევშინდი კიდეცა,- ისეთი იყო გაბრიელი, ვიფიქრე მართლაც წმნიდა გიორგი ხომ არ არის და კაცად არ არის ჩვენთან მოსული მეთქი“...

ანდერძის ავტორი გვიყვება ამ მშვენიერ ამბავს, მაგრამ გულისტკივილით ამბობს, რომ თანამედროვე საზოგადოება დაცლილია ამგვარი რაინდული სულისკვეთებისგან. სამწუხაროდ, სიკეთის ამგვარ სიმაღლეს ვერ გაიგებენ და ვერ ჩასწვდებიან.

ანდერძის ავტორი, სწორედ შორეული შთამომავლობის იმედად წერს ანდერძს და იმედი აქვს რომ ისინი ჩასწვდებიან ნამდვილ არსს: „ამას, რასაც მე ვწერ, თქვენთვის არა ვწერ, ჩემო შვილებო. თქვენა, ვერც ბიჭებსა და ვერც ქალებს, ცოცხალმა კაცმა ვერს შეგასმინათ, რაც მე გულისგულით მინდოდა, და ამ ფარატინა ქაღალდზე დაწერილი რას შეგასმენთ. ამას ვწერ ჩემი შვილთაშვილებისა და მათი შვილებისთვის. იცოდნენ ესა, რაც მე უნდა დავწერო, და თუ გამოგადგებათ რამეში, ხომ კარგი, თუ არადა, ანდერძს კაცი არ მოუკლავს,არც დაუნგრევიაო“... (ინანიშვილი, 2010:282)

ავტორი იმედოვნებს ისეთი ადამიანების არსებობას, რომელნიც ამ ყველაფერს სწორად გაიგებენ და ექნებათ უნარი იმისა, შეიცნონ სიყვარულის, სიკეთის ძალა. თუმცა, შესაძლოა შევეჩეხოთ ადამიანებს, რომელთაც ეს უნარი დახშული აქვთ...

თავისუფლება საკაცობრიო აზროვნების უძველესი მონაპოვარია. არისტოტელეს მოსაზრებით, სწავლული თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ. სტოელებმა ეს დამოკიდებულება მეტად განავითარეს; მათ თავისუფლება გაითავისეს, როგორც

გარეგან იძულებათაგან, ლტოლვათაგან და მავნე მიდრეკილებათაგან დამოკიდებულება.

თავისუფლება, ვფიქრობ, ეს არის დაიცვა საკუთარი პრიციპები და შეხედულებები და არ მოიქცე იძულებით. თავისუფალი მხოლოდ ისეთი ადამიანი შეიძლება იყოს, რომელსაც აქვს საკმარისი განათლება იმისთვის, რომ სწორად წარმართოს თავისი ცხოვრება. თავისუფალია ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი იცხოვროს, საკუთარი სულიერი და მორალურ-ზნეობრივი პრინციპების კვალდაკვალ.

თავისუფლების გაგება იდეურად არის გამოხატული ი. ჭავჭავაძის ეპოქალურ ფორმულაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, თავისუფლების ილიასეული გაგებით ადამიანი უნდა იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე.

ადამიანმა უნდა ისწავლოს კეთილისა ბოროტის ერთმანეთისაგან განსხვავება და რაც მთავარია სწორი არჩევანის გაკეთება. ვიქრობ, ადამიანს იმდენად შეუძლია იყოს თავისუფალი, რამდენის უფლებასაც საკუთარი თავი აძლევს. სამწუხაროდ ადამიანთა უმრავლესობას განსაზღვრული არ აქვს რა არის თავისუფლება. თავისუფლება კი, თითოეულ ადამიანშია ოღონდ განსხვავებულად.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა შექმნა ადამიანი და მიანიჭა მას სრული თავისუფლება, აჩვენა სიკეთით აღსავსე ქვეყანა და ჩააბარა მას. ადამმა (უფლისგან შექმნილი პირველი ადამიანი) უნდა გადაწყვიტოს რა არის კარგი და რა ცუდი, ბედნიერი იყოს თუ უბედური, დაემორჩილოს ღვთის ნებას თუ წავიდეს მის წინაღმდეგ. ადამიანი თავად ირჩევს საკუთარ ცხოვრებას და თავადვე განაგებს იგი.

თავისუფლება არ ნიშნავს თავი აარიდო პასუხისმგებლობას. თავისუფლება ნიშნავს ამოვირჩიოთ ცხოვრების საკუთარი წესი.

უფალმა ადამს მისცა არჩევანის საშუალება მან კი აირჩია მაცდური სიტყვა და არა ღვთიური ჭეშმარიტება. ამიტომაც ყოველთვის გვიწევს ბრძოლა მთელ კაცობრიობას, რათა არ დავუშვათ ის შეცდომა, რომელიც ადამმა დაუშვა...

თავისუფლებაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ უკეთ წარმოვაჩინო რევაზ ინანიშვილის გმირების სულიერი სწრაფვა. ადამიანი თავადვე აკეთებს არჩევანს ცხოვრების საცდელ მომენტებში, როგორც „ანდერძის“ პერსონაჟი გაბრიელი, ირჩევს დამარცხებული ხევსურების თავისთან წაყვანას, ქეიფსა და ცხენების დაბრუნებას. ადამიანს აქვს არჩევანის თავისუფლება და რამდენად სწორად აირჩევს ეს მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული.

რევაზ ინანიშვილის შესანიშნავი მოთხრობა „დედაბოძი“, გვიამბობს გლეხკაცის, ესტატეს შესახებ, რომელსაც ვალი აქვს გასასტუმრებელი. ამისთვის კი ღვინო უნდა გაყიდოს და ფული იშოვოს. მას აქვს არჩევანის საშუალება პატიოსნად იშოვოს ფული და გაყიდოს ნაღდი ღვინო თუ ფალსიფიცირებული ღვინო დაამზადოს, მარაგიც გაზარდოს და მეტიც გამოიმუშაოს. გამუდმებით ამ აზრს უმეორებს ცოლიც. ესტატეს კი, უკვირს და გულშიც არ გაივლებს იმ აზრს, რომ ცოლის რჩევა გაითვალისწინოს.

ესტატე გახლავთ ადამიანი, რომელმაც აირჩია ჭეშმარიტი, სიკეთის გზა. პატიოსნებით მოპოვებული მცირედი არჩია არასამართლიანი გზით მოპოვებულს.

როცა ეშმაკმა უჩვენა ადამიანს სამყაროს ყველა სამეფო და მთელი ძალაუფლება შეჰპირდა მათზე, თუკი განუდგებოდა ღმერთს და მათ გაჰყვებოდა, მაცხოვარმა უთხრა:“...გამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს, ღმერთს, შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე“.(მათე 4:10) (შოთაძე 2009:97)

რევაზ ინანიშვილი კი თავისი შემოქმედებით გვასწავლის თავისუფლების ფასს. მწერლის მთელი შემოქმედება არის სიკეთის შუქი, რომელსაც საგზლად

სიყვარული მიაქვს ადამიანთა გულებისკენ მიმავალ გზაზე. საოცარმა პროზაიკოსმა თავის მკითხველს ნიშნად მადლობისა, სიყვარული უანდერძა.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში „ჰუმანიზმი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში“ განხილულია უდიდესი მნიშვნელობის და ზოგადსაკაცობრიო ღირებულება - ჰუმანიზმი.

მწერალ რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში დახვეწილ ოსტატობასთან ერთად, ვლინდება ის სული და უშუალობა, რომელიც ჩვენს მხატვრულ შემოქმედებას მოსდგამს, სადაც გემოვნება ნასწავლი კი არ არის, არამედ თანდაყოლილი, ოდითგანვე მომდინარე.

მწერალი გვიხატავს პერსონაჟების ცხოვრებას, რომლებიც სიკეთითა და სიყვარულით არიან სავსე. სიკეთითაა გაჟღენთილი ამ უბადლო პროზაიკოსის მთელი შემოქმედება.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ რევაზ ინანიშვილის ეპოქა და გავაანალიზეთ მწერლის მოთხრობები. ყოველივე თანამედროვეს ეპოქის კვალი აჩნია. სიკვდილ-სიცოცხლის დონემდე თანამედროვე ადამიანური არსებობის პრობლემის აყვანა განაპირობებს რევაზ ინანიშვილის პროზის ეპოქალურ სახეს.

რეზო ინანიშვილი თავისი მოთხრობებით მთელი ძალით იბრძვის, კაცობრიობა გადაარჩინოს სულიერი და მორალური სიკვდილისგან.

მწერალი, თავისი მოთხრობებით მთელი ძალით იბრძვის კაცობრიობა გადაარჩინოს სულიერი და მორალური სიკვდილისგან. მთელი თავისი შემოქმედება ბრძოლაა ადამიანების გულისთვის, თუმცა გვერდს ვერ აუვლით სოციალურ ვითარებას რომელიც ნებისმიერი ნაწარმოების აქტუალობას განაპირობებს.

ასევე ვიმსჯელეთ, მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებზე რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში.

მისი ნაწარმოებების ამოცანაა ადამიანის აღზრდა და ზნეობრივი მაგალითის ჩვენება. ნაწარმოებში ვხედავთ ბევრ ისეთ მოთხრობას, რომელშიც სულიერი თუ ზნეობრივი ღირებულებების ამაღლებაა ნაჩვენები. ეს ღირებულებები კი ღრმადაა დაკავშირებული რელიგიასთან. მისი შემოქმედება ემსახურება ტრადიციების, დიდი სიკეთისა და უსაზღვრო სილამაზის დაცვას.

პროზაიკოსის მთელი შემოქმედება გარდასულ დროთა სურნელის მატარებელია.

„ხელოვნების ქმნილებაში ხორცშესხმულია ყოფიერების ჭეშმარიტება“,- წერდა მარტინ ჰაიდეგერი. რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყოფიერების ჭეშმარიტება ვლინდება სიყვარულის მეშვეობით. მისი პერსონაჟები დაეძებენ ხსნას და ამ ხსნას ისინი სიყვარულში პოულობენ. მწერლის შემოქმედების საძირკველი სწორედ სიყვარულია, სწორედ სიყვარული აძლევს მის პროზას არამქვეყნიურ ხიბლს. სიყვარულია მიზეზი იმისა, რომ ვერ ვწყდებით რეზოს მოთხრობებს უემოციოდ.

ქრისტიანული რწმენით გაზრდილ ადამიანს კი, იავნანასავით ჩაესმით სიტყვები „გიყვარდეს მოყვასი შენი“. რევაზ ინანიშვილმა კი მკითხველის ამ შეგონებამდე მიყვანის სრულიად ახლებური გზა შემოგვთავაზა სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავთანდილ ნიკოლეიშვილი „XX საუკუნის ქართული მწერლობა“ ქუთ. 2002 წ.
2. ილია ჭავჭავაძე „ტომი IV პუბლიცისტური წერილები“ თბ. 1987 წ.
3. რევაზ ინანიშვილი „ექვსტომეული“, თბილისი 2012წ.

4. რევაზ ინანიშვილი „სამაგიდო ჩანაწერები“, თბილისი 2012წ.
5. რევაზ ინანიშვილი „შორი თეთრი მწვერვალი“,თბილისი 2012წ.
6. რევაზ ინანიშვილი „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“, თბ., 2012წ.
7. რევაზ ინანიშვილი „ოთხტომეული“, თბ., 2008 წ.
8. რევაზ ინანიშვილი „ჩიტების გამომზამთრებელი“, თბ., 2012წ.
9. რევაზ ინანიშვილი „ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, თბ., 2008წ.
10. რევაზ მიშველაძე „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ. 2013 წ.
11. სამეცნიერო კრებული „რევაზ ინანიშვილი“, თბ 2012.წ.
12. ქეთევან შოთაძე „სულის მხატვარი“ „უნივერსალი“, თბ., 2009 წ.
13. ქართველი მწერლები სკოლებში „რევაზ ინანიშვილი“, თბ., 2010 წ.
14. შალვა ჩიჩუა „რომანის თანამედროვეობა“ თბ., 1988 წ.